ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“+ კოკო შანელი

8 ლარი

26 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე




ორშაბათი, 26 სექტემბერი, 2011 №228 (5608) ფასი: 30 თეთრი

# შალვა რამიშვილი ყვარელში გვ.2
# პრეზიდენტის ვენახში დააკავეს



## გია ყრუაშვილი: „საქართველოს რკინიგზაზე დაზიანებული ელმავლები მოძრაობენ“ გვ.2

„ეზუგბაია თანამშრომლებს ფულს არ უხდის“



## ცხინვალის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას 24 კაცი აპირებს გვ.3

ცესკოში კანდიდატების რეგისტრაცია ჯერ არ დასრულებულა

კობა სუბელიანისგან პირობის შესრულებას გვ.5 მოითხოვენ





ნანა კაკაბაძე: „გაგვაგებინოს ეროვნულმა ფორუმმა, რას ნიშნავს ქართველთა მარში!“ გვ.4

ყვითელი გვ.6 „მარშრუტკების“ მძღოლებს სერიოზული პრობლემები შეექმნათ





თამარ ჩხეიძე: „ნაციონალები ეკლესიის გვ.4 დასასუსტებლად ყველაფერს აკეთებენ“

რამაზ საყვარელიძე: „ხელისუფლებამ თავის შეცდომებზე ისწავლა, ოპოზიციამ — ვერა“



გვ.3



## რა სირთულეები ელოდება ანქვაბს

შამბა და ხაჯიმბა მის გვ.7 წინააღმდეგ გაერთიანდებიან



## სოსო ცინცაძე: საქართველო პუტინის 12-წლიანი მმართველობისთვის გვ.2 უნდა მოემზადოს

**3090**

**sms განცხადებები „ახალ თაობაში“**

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

6 სოფელ ქოპორტთან ავტოავარიის შედეგად 5 ადამიანი დაიღუპა

4 ახალი მსოფლიო კრიზისი საქართველოს ვერ დააზარალებს

6 „ნასას“ ხომალდის ნამსხვრევები ქუთაისში ჩამოვარდა

3 ადვოკატთა ასოციაცია ადვოკატთა სოლიდარობის აქციებს იწყებს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# გია ყრუაშვილი: „საქართველოს რკინიგზაზე დაზიანებული ელმავლები მოძრაობენ“

ქეთი ხომერიკი

„თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გია ყრუაშვილი კვლავ შპს „საქართველოს რკინიგზაში“ არსებულ დარღვევებზე და მოსალოდნელ საფრთხეებზე საუბრობს. მისი განცხადებით, თითქმის ყველა ელმავალი ავარიულია და მათი ხაზზე გამოყვანა სამუშაოდ დაუშვებელია. მისივე თქმით, რკინიგზაზე ავარიები კვლავ მოსალოდნელია, თუმცა საპირისპიროს ამტკიცებენ შპს „საქართველოს რკინიგზაში“. ჩვენთან საუბრისას „საქართველოს რკინიგზის“ პრესსამსახურის ხელმძღვანელს, ირმა სტეფნაძეს არაერთხელ უთქვამს, რომ რკინიგზაში ყველაფერი წესრიგშია, თუმცა ვინ იცის... შპს „საქართველოს რკინიგზაში“ არსებულ მდგომარეობაზე „ახალ თაობას“ „თავისუფალი საქართველოს“ წარმომადგენელი გია ყრუაშვილი ესაუბრა.


გია ყრუაშვილი

**გია ყრუაშვილი:**

— მიუხედავად ჩვენი არაერთი განცხადებისა და დოკუმენტისა, ეზუგბაია და მისი „რაზმი“ ჯიუტად აცხადებს, რომ შპს „საქართველოს რკინიგზა“ ყვავის. ჩვენ, რამდენიმე დღის წინაც გავავრცელეთ ვიდეო, რომელიც საპირისპიროზე მეტყველებს. ვიდეოში ნათლად ჩანს, თუ როგორ ბოლავს ბათუმის ელმავალი, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება გატყდეს, რასაც კატასტროფა მოჰყვება, თუმცა ეზუგბაიას ეს საერთოდ არ ადარდებს. ასევე ზუსტად ანალოგიური მოხდა რამდენიმე დღის წინ თბილისი-ოზურგეთის მატარებელზეც. მატარებელი მცხეთაში ერთი საათი იდგა იმ მიზეზით, რომ ძალიან გახურდა. მთელი მცხეთა ბოლში იყო გახვეული. ასეთი ელმავალი გზას აღარ უნდა აგრძელებდეს.

**— და გააგრძელა, რატომ?**

— რა თქმა უნდა, ესენი იძულებულნი არიან, ეს ავარიული ელმავლები გამოიყვანონ ხაზზე სამუშაოდ, (თითქმის ყველა ელმავალი ავარიულია) რაც დაუშვებელია. სისხლის სამართლის დამნაშავეა ყველა ის ადამიანი, ვინც ამას სჩადის. აი, ასეთი მდგომარეობაა ამ მხრივ შპს „საქართველოს რკინიგზაში“. თვეებია ამას გავიძახი და ყურს არავინ

## „ეზუგბაია თანამშრომლებს ფულს არ უხდის“

იბერტყავს. ვიმეორებ, რკინიგზაზე ავარიები კვლავ მოსალოდნელია.

**— „რკინიგზაში“ ირწმუნებიან, რომ ავარიები მოსალოდნელი არ არის, მეტიც, ყველაფერი წესრიგშიაო...**

— აბა, რას იტყვიან, კარგით რა! ამის გარდა, როგორც შევიტყვე, მემანქანეები და თანაშემწეები აკლადურ ხელფასზე გადაიყვანეს. მემანქანეებს 800, თანაშემწეებს კი 700 ლარი აქვთ ხელფასი. თუ მემანქანემ, ან თანაშემწემ ზედმეტი იმუშავა, მას მაინც 800 ლარს აძლევენ, ხოლო თუ ოჯახური პირობების გამო რამე შეემთხვა და გაეთავისუფლა გრაფიკული მატარებლიდან, მაშინ 90 ლარს უკავებენ, რაც სასაცილოა და მემანქანის აბუჩად აგდებაა და მეტი არაფერი. სამწუხაროდ, რკინიგზის ხელმძღვანელობის მხრიდან თანამშრომლების აბუჩად აგდება კვლავ გრძელდება. ასევე 16 მილიონად ნაყიდი 3-მილიონიანი ჩინური სექციები, ჩინური მატარებლები ყოველდღე ზიანდება და 2 წელიწადში ჩამოსაწერი გახდება.

**— რატომ?**

— კაპიკად არ ვარგა. ამ მატარებლების ჩამოყვანა მხოლოდ ფულის გათეთრებას ემსახურება და სხვა არაფერს. ასევე კოპიტნარი სამტრედიის გადასარბენზე, ლიანდაგზე მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. ლიანდაგის რემონტი ჯერ არ დასრულებულა და რადგან ეზუგბაიას უნდა, მისი პირადი ბრძანებით სექციებზე სიჩქარე 120 კმ დააწესეს და მემანქანეებს იძულებულს ხდიან, 120□კმ სიჩქარით იარონ, რაც კიდევ ერთხელ რისკის ქვეშ აყენებს ადამიანების სიცოცხლეს. ამ გადასარბენზე სიჩქარე წესით 40 კმ-ზე მეტი არ უნდა იყოს, არ შეიძლება, დაუშვებელია, რადგან სარემონტო სამუშაოები ჯერ არ დასრულებულა. ეზუგბაია კიდევ აიძულებს ყველას, რომ სიჩქარე აიწიოს, რაც შეიძლება მალე სავალალო შედეგებით დასრულდეს. აქვე გეტყვით ერთ რამეს, ყველა რკინიგზელი ვითომ დაზღვეულია და რკინიგზა ყოველთვიურად ფულს რიცხავს „ტაობანკში“ ვითომ რკინიგზელების დასაზღვევად.

**— რას ნიშნავს ვითომ?**

— სინამდვილეში არც ერთ რკინიგზელს არ მკურნალობენ და არანაირი მომსახურება მათზე არ ვრცელდება. ფურცელზე ათეთრებენ, ვითომ ყველას უმკურნალეს, სინამდვილეში კი ფულს იჯიბავენ. ისე ფიარისთვის 2, ან 3 კაცს თავისიანებს შეიძლება გაუმართლოს ამ მხრივ, ისიც სალაპარაკო, რომ ჰქონდეთ მხოლოდ იმიტომ. გახსოვთ, ადრე გითხარით 4000 რკინიგზელს სამსახურს დაატოვებინებენ-მეთქი, ეს პროცესი კვლავაც გრძელდება. ჩქარი ტემპით მიდის რკინიგზელების შემცირება და სახლებში გაშვება. თქვენი გაზეთის ფურცლებიდან, მოვუწოდებ ეზუგბაიას შეეშვას პატიოსანი რკინიგზელების ტერორს და მამამისის საფლავის მომვლელს, დამლაგებელს გადაუხადოს კუთვნილი თანხა. მოგეხსენებათ, ეზუგბაიას მამის საფლავს ერთი გაჭირვებული ქალბატონი უვლიდა, რომელსაც ის ხელფასს დაჰპირდა და დღემდე არ მიუცია.

**— კი მაგრამ, რა გაუჭირდა რკინიგზის ხელმძღვანელს ასეთი?**

— წარმოიდგინეთ, ის საწყალი ქალბატონი დღესაც დასდევს ამ არაკაცს, რომ თავისი კუთვნილი თანხა გამოართვას, თუმცა... სულ რაღაც 20 ლარზეა საუბარი.თქვენი გაზეთის საშუალებით, მინდა რკინიგზელები ვანუგეშო და ვუთხრა ერთი რამ — უახლოეს მომავალში ვგეგმავ შპს „საქართველოს რკინიგზაში“ შევქმნა ალტერნატიული, ღირსეული და ნამდვილი მუშის დამცველი პროფკავშირი, რომელიც ბოლომდე იბრძოლებს რკინიგზელების დასაცავად, ყველა უკანონობაზე წინააღმდეგობას გაუწევს მათ ხელმძღვანელობას და დაიცავს ყველა პატიოსან რკინიგზელს. ამისთვის ყველა რკინიგზელს ვთხოვ გვერდში დადგომას, რათა ღირსეულმა ადამიანმა იბრძოლოს ყველა რკინიგზელის დასაცავად. ის ადამიანები, რომლებიც აიძულებენ მათ, რომ ავარიული ელმავლები გამოიყვანონ ხაზზე სამუშაოდ, უნდა დაისაჯონ.

ირაკლი ეზუგბაია


ღირსეული პროფკავშირების შემთხვევაში მსგავსი ფაქტები ვერ განვითარდება და ეს პროფკავშირი დაიცავს ყველა რკინიგზელს, რომ სამსახურის გარეშე არ დარჩეს. მოკლედ, დიდი გეგმები გვაქვს. დასასრულ, კი, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო „ახალ თაობას“, რომ ასე იბრძვის პატიოსანი რკინიგზელების დასაცავად.

## შალვა რამიშვილი ყვარელში პრეზიდენტის ვენახში დააკავეს

ჟურნალისტი შალვა რამიშვილი ყვარელში, პრეზიდენტის ვენახში, სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა პირებმა დააკავეს.


შალვა რამიშვილი

როგორც „მედიანიუსს“ პარტია „თავისუფალი საქართველოს“ კახეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ გიორგი მოსიაშვილმა აცნობა, ჟურნალისტი შალვა რამიშვილი კახეთში რეპორტაჟის მოსამზადებლად იყო ჩასული, თავად კი მას მეგზურობას უწევდა.

— მისულები ვიყავით პრეზიდენტის ვენახში, რომელსაც ჭიშკარი არ ჰქონდა. იქვე იდგნენ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პირები, რომლებსაც ვკითხეთ, შეიძლებოდა თუ არა ვენახში შესვლა. მათ არ უთქვამთ, რომ შესვლა არ შეიძლებოდა და შევედით, რის შემდეგაც მოვარდნენ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პირები, შალვას წაართვეს მიკროფონი და კამერა, მეც წამართვეს მართვის მოწმობა და პირადობის მოწმობა და მუჯლუგუნების რტყმევით შალვა ჩასვეს მანქანაში, — აღნიშნა მოსიაშვილმა და დასძინა, რომ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა პირებმა მოგვიანებით განაცხადეს, რომ დაცვის პოლიციიდან იყვნენ, თუმცა მათ ფორმა არ ეცვათ.

**მედიანიუსი**

## ორ დეპუტატს უფლებამოსილება შეუწყდება

პარლამენტი მომავალ კვირას ორ დეპუტატს, გიორგი ჩივიაშვილსა და გიორგი ტატიშვილს უფლებამოსილებას შეუწყვეტს.

გიორგი ტატიშვილი, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულად გუბერნატორად დაინიშნა, ხოლო გიორგი ჩივიაშვილი, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, კახეთის საოლქო პროკურორი გახდა.

გორის მაჟორიტარ დეპუტატ გიორგი ტატიშვილისთვის და გურჯაანის მაჟორიტარ დეპუტატ გიორგი ჩივიაშვილისთვის დეპუტატის მანდატის შეწყვეტის საკითხს, პარლამენტის უახლოეს პლენარულ სხდომაზე უყრიან კენჭს.

კანონმდებლობის მიხედვით, გორსა და გურჯაანში შუალედური არჩევნები ვეღარ ესწრება. შესაბამისად, გორსა და გურჯაანს წარმომადგენელი ამ მოწვევის პარლამენტში აღარ ეყოლება.

ამ მოწვევის პალამენტს აქამდე უკვე 22 დეპუტატისთვის აქვს უფლებამოსილება შეწყვეტილი.

**ინტერპრესნიუსი**

## კოკისპირულმა წვიმამ ბათუმს პრობლემები შეუქმნა

გუშინ დილით მოსულმა კოკისპირულმა წვიმამ ბათუმის მოსახლეობას სერიოზული პრობლემები შეუქმნა. წვიმამ ქალაქის ცენტრი და ე. წ. ჭაობის უბანი დატბორა.



შეფერხდა ავტოტრანსპორტის მოძრაობაც. განსაკუთრებით რთული ვითარებაა ბაგრატიონის ქუჩაზე, სადაც გზისა და ტროტუარების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

წყალმა ელექტროენერგიის გამანაწილებელი ტრანსფორმატორის ჯიხურშიც შეაღწია და ქალაქის ამ უბნის მოსახლეობის დიდი ნაწილი ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი. წყალი შევარდა, აგრეთვე, კერძო სახლების ეზოებში და ზოგიერთი სახლის პირველ სართულზეც. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში ჩართულია როგორც მუნიციპალიტეტი, ისე „ენერგოპრო ჯორჯიას“ საავარიო ჯგუფები.

**მედიანიუსი**

## სოსო ცინცაძე: საქართველო პუტინის 12-წლიანი მმართველობისთვის უნდა მოემზადოს

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე მიიჩნევს, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობაზე ვლადიმირ პუტინის დაბრუნება საქართველოსთვის არაფერს შეცვლის.

როგორც მან „მედიანიუსს“ განუცხადა, საქართველოსთან ურთიერთობაში ყველაფერი ისე დარჩება, როგორც იყო, რადგან რა პოლიტიკასაც მედვედევი საქართველოს მიმართ ატარებდა, ეს პუტინის პოლიტიკა იყო. მისი თქმით, საქართველო პუტინის 12-წლიანი მმართველობისთვის უნდა იყოს მზად, რადგან, როგორც ჩანს, რუსეთის პრეზიდენტი 2020 წლამდე პუტინი იქნება. საბოლოო ჯამში, ქვეყანამ რუსეთთან ურთიერთობის ფორმა უნდა გამოძებნოს.


სოსო ცინცაძე

— ყოველ შემთხვევაში რა კურსიც ჰქონდა რუსეთს, ის კურსი იქნება შენარჩუნებული. ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ ქართულ დიპლომატიაში რუსეთთან ურთიერთობაში სერიოზული კორექტივები იყოს საჭირო, მაგრამ ის, რომ მომავალ 2020 წლამდე რუსეთის მიმართ უფრო მეცნიერულად დამუშავებული კურსი გვჭირდება, ცხადია. დამთავრდა მოლოდინი და ის პერიოდი, როცა ზოგს იმის იმედი ჰქონდა, რომ პრეზიდენტი მედვედევი გახდებოდა და უფრო ლიბერალურ პოლიტიკას გაატარებდა. ეს კი არამარტო საქართველოს, არამედ ევროპას, აშშ-სა და თვით რუსულ ელიტას ეხება, — აღნიშნა სოსო ცინცაძემ.

ექსპერტის თქმით, პრეზიდენტის თანამდებობაზე პუტინის მოსალოდნელი დაბრუნებისა და მთავრობის მეთაურად დიმიტრი მედვედევის ასევე მოსალოდნელი დანიშვნის პირველი შედეგი ფინანსთა მინისტრ ალექსეი კუდრინის გადაწყვეტილებაა, რომელმაც განაცხადა, რომ მედვედევის პრემიერობის პირობებში მთავრობაში ვერ იმუშავებს.

— ალბათ სხვა საკადრო ცვლილებებიც მოხდება, მაგრამ იმაზე ლაპარაკი, რა იქნება ჩვენთვის კარგი და რა ცუდი, ისეთივე სიბრიყვე იქნება, როგორც ზოგიერთი ჩვენი ე.წ.პოლიტოლოგის დასკვნები — ვინ სჯობდა აფხაზეთში, ხაჯინბა თუ თავის დროზე ბაღაფში, ახლა -- ანქვაბი თუ შამბა, — აღნიშნა სოსო ცინცაძემ.

პოლიტოლოგი ასევე არ გამორიცხავს, რომ პუტინი შედარებით რბილი პოლიტიკის გასატარებლად იმზადებდეს ნიადაგს. ამის თქმის საშუალებას მას ქართველ ჟურნალისტებთან საუბრისას გაკეთებული, მედვედევის ერთი თვისწინანდელი განცხადება აძლევს, სადაც ის ამბობს, რომ საქართველოსთან ომი მან დაიწყო. ცინცაძის მოსაზრებით, ეს შეიძლება, დიპლომატიური სვლა ყოფილიყო, რომ პუტინს შემდგომი გზა გაადვილებოდა.

— ერთ-ერთ შეხვედრაზე კი თავად პუტინმა განაცხადა, საქართველოსთან ომი ჩემს დროს არ მომხდარაო. არაა გამორიცხული, რომ პუტინი ნიადაგს შედარებით რბილი პოლიტიკის გასატარებლად იმზადებდეს. მას მშვენივრად ესმის, რომ რა პოლიტიკის გატარებაც 3-4 წლის განმავლობაში შეიძლებოდა, არ შეიძლება ასეთი პოლიტიკა 12 წელი გრძელდებოდეს საქართველოსთან — ამიერკავკასიის საკვანძო ქვეყანასთან. მაგრამ ეს შეიძლება ფრთხილი ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევდეს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ეიფორიის, რომ პუტინის გაპრეზიდენტება რამეს შეცვლის. ჯერჯერობით არაფრის ცვლა მოსალოდნელი არაა, — აღნიშნა სოსო ცინცაძემ.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოჩაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-39-34
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

## ახალი პარტია „განახლებული საქართველო“ დაფუძნდა

გუშინ კიდევ ერთი ახალი ქართული პოლიტიკური ორგანიზაცია შეიქმნა. პარტია „განახლებული საქართველოს“ დაფუძნების შესახებ განცხადება ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის ლიდერებმა დავით ფაცაციამ და თემურ ჩილაჩავამ თბილისში თემქის დასახლებაში ე.წ. „არაშენდასთან“ გააკეთეს.

როგორც „განახლებული საქართველოს“ თავმჯდომარემ დავით ფაცაციამ განაცხადა, „არაშენდას“ ტერიტორია პარტიის დაფუძნების შესახებ განცხადების გასაკეთებლად სიმბოლურად შეარჩიეს.

— „არაშენდა“ საქართველოსავით ამდენი წლის განმავლობაში არ აშენებულა და ჩვენ საქართველოსაც და „არაშენდასაც“ ერთად ავაშენებთ, — განაცხადა დავით ფაცაციამ და დასძინა, პარტიის დამფუძნებელი ყრილობა 19 ოქტომბერს გაიმართება.

მისი თქმით ყრილობაზე პარტიის მიზნებასა და სამოქმედო გეგმას დაგეგმილ ყრილობაზე წარადგენენ.

თემურ ჩილაჩავას თქმით კი, მათი პარტია ყველა იმ პრობლემის მოგვრებაზე იზრუნებს, რაც ქვეყანას აწუხებს.

— ჩვენ ვიქნებით განახლებისა და აღმშენებლობის პარტია, რომელიც ეკონომიკურ კეთილდღეობას მოიტანს და ქვეყანას გაამთლიანებს. ხალხს ხელისუფლების რეალური ალტერნატივა სჭირდება და პირობას ვაძლევთ მათ, რომ ეს ალტერნატივა ჩვენ ვიქნებით. ჩვენი პარტია მთელი საქართველოს მხარდაჭერას მოიპოვებს, რადგან ხალხს რეალური ცვლილებები სჭირდება. მოგიწოდებთ, ერთად ვიაროთ არ აშენებული საქართველოდან განახლებული საქართველოსკენ, — განაცხადა თემურ ჩილაჩავამ.

ფაცაციას და ჩილაჩავას ბრიფინგს ენის პალატის ყოფილი თავმჯდომარე ლევან ღვინჯილიაც ესწრებოდა.

„განახლებული საქართველოს“ თავმჯდოამრის განცხადებით პარტიის სხვა წევრები საზოგადოებისთვის დამუფძნებელ ყრილობაზე გახდება ცნობილი.

**მედიანიუსი**

## სტიქიამ ქობულეთის დააზარალა

გადაუღებელმა წვიმამ და ძლიერმა ქარმა ქობულეთის რამდენიმე უბანი მნიშვნელოვნად დააზიანა.



დაზარალდა ათამდე ოჯახი. კოსტავას, აღმაშენებლის, თბილისისა და ჯავახიშვილის ქუჩებზე ქარმა საცხოვრებელ სახლებს სახურავები გადახადა. შემთხვევის ადგილზე მობილიზებულია სპეციალური ტექნიკა. მოსახლეობას შეხვდნენ და დახმარებას დაჰპირდნენ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები.

**ინტერპრესნიუსი**

# ცხინვალის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას 24 კაცი აპირებს

**თეა მარხვაი ე**

ასე თუ გაგრძელდა სამხრეთ ოსეთში შესაძლოა ამომრჩეველი აღარ დარჩეს. საქმე იმაში გახლავთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების სურვილი რეკოდულად ბევრმა ადამიანმა გამოთქვა. კანდიდატების წარდგენამდე კიდევ 2 კვირაა დარჩენილი და უკვე 24 ადამიანს აქვს პრეტენზია.

სამხრეთ ოსეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობით, მათ უკვე მიმართა 22 საინიციატივო ჯგუფმა და 2 პოლიტიკურმა პარტიამ. ოსური მედიის ცნობით, ეს რიცხვი ამ კვირაში სავარაუდოდ კიდევ გაიზრდება. დაუზუსტებელი ინფორმაციით შეიძლება არჩევნებში მონაწილეობა მოქმედმა გენპროკურორმა თეიმურაზ ხუგაევმაც მიიღოს. ეს უკანასკნელი სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ძმის, რობერტ კოკოითის ქვისლია.

საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი შემდეგმა პირებმა გამოთქვეს:

1. ალა ჯიოევა, სამხრეთ ოსეთის განათლების ყოფილი მინისტრი;
2. ვალერი თედეევი, სამხრეთ ოსეთის თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე;
3. აივარ ბესტაევი, ცხინვალის რესპუბლიკური საავადმყოფოს განყოფილების გამგე;
4. ალბერტ ჯუსოევი, „სტროიპროგრესის“ გენერალური დირექტორი;
5. ჯემალ ჯიგკაევი, ცხინვალის რესპუბლიკური საავადმყოფოს კომპიუტერული დიაგნოსტიკის განყოფილების ხელმძღვანელი;
6. ვიაჩესლავ გაბოზოვი, პარტია „ფიდიბასტას“ ლიდერი;
7. ალან კოჩიევი, ცხინვალის სპორტული სკოლის მასწავლებელი (ცნობილი საველე მეთაურის გრი კოჩიევის პირმშო);
8. დიმიტრი ტასოევი, აწ უკვე ლიკვიდირებული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი (პარტია სამხრეთ ოსეთის იუსტიციის სამინისტრომ მოთხოვნით მიმდინარე წლის მარტის თვეში გაუქმდა);
9. ვლადიმერ ქელეხსაევი, სამხრეთ ოსეთის 3 და 4 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი;
10. სერგეი ბიტიევი, სამხრეთ ოსეთის იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი სასამართლოში;
11. ვადიმ ცხოვრებოვი, სამხრეთ ოსეთის „პურპროდუქტების კომპანიის“ დირექტორი (მას ოსები „ბულოჩკას“ სახელით იცნობენ);
12. გენო ქაჯაევი, მხატვარი;
13. ძამბოლატ თედეევი, რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში;
14. როლანდ ქელეხსაევი, სახალხო პარტიის ყოფილი ლიდერი, სამხრეთ ოსეთის 4 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი;
15. მერაბ ჩიგოევი, სამხრეთ ოსეთის პარლამენტის წევრი, იუსტიციის ყოფილი მინისტრი;
16. ხოხ გაგლოიტი, მეწარმე;
17. ახსარ ვანეევი, მეწარმე;
18. ალან პლიევი, სამხრეთ ოსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე;
19. ანატოლი ბიბილოვი, სამხრეთ ოსეთის საგანგებო სიტუაციათა საქმეთა მინისტრი (ეს კაცი კოკოითის მემკვიდრედ ითვლება);
20. გიორგი კაბისოვი, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;
21. ალან კოტაევი, ქალაქ ცხინვალის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე;
22. ალექსანდრ მარდანოვი, „ინვესტ ჰოლდინგის“ გენერალური დირექტორი;
23. სოსლან თედეტი, სამხრეთ ოსეთის ომონის მეთაური;
24. ვასილი ბესტაევი, ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა ალანიის ადვოკატთა პალატის წევრი.



ძამბოლატ თედეევი



ანატოლი ბიბილოვი



ალბერტ ჯუსოევი

### ცესკოში კანდიდატების რეგისტრაცია ჯერ არ დასრულებულა

სააგენტო „რესის“ ცნობით, პრეზიდენტობის 22 კანდიდატი ცესკომ უკვე დაარეგისტრირა. ვასილი ბესტაევის და ალან პლიევის საქმე კი ჯერ შესწავლის პროცესშია.

ვერაფერს იტყვი, ცხინვალში ფრიად სახალისო და საინტერესო არჩევნები ჩატარდება. ნამდვილად ხუმრობა საქმე არ არის არჩევნებში 24 კაცის მონაწილეობა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს სრულყოფილი სია არ არის. ამ დღეებში ცესკოში კიდევ რამდენიმე გზააბნეულს შეუცდება ფეხი.

პრეზიდენტობის კანდიდატების წარდგენის ბოლო ვადა 8 ოქტომბერია. სწორედ ამ დღეს გაირკვევა რამდენი ადამიანი მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას. არჩევნების დღეს და მანამდეც ვილაცეები ვილაცეების სასარგებლოდ მოხსნიან კანდიდატურას.

მართალია ანატოლი ბიბილოვი პარტიამ „ედინსტვო“ წარადგინა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას მოსკოვი უჭერს მხარს. ადგილობრივი და რუსი ექსპერტების თქმით, არც იმას აქვს დიდი მნიშვნელობა რომ ბიბილოვს ნარიკინი შეხვდა. რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ცხინვალს 20 სექტემბერს სტუმრობდა.

ისევე როგორც აფხაზეთში კრემლი ღიად, არც ამ არჩევნებში ჩაერევა. მართალია ამ არჩევნებში მონაწილეობას 24 კანდიდატი აპირებს მაგრამ მთავარი ბრძოლა 2 კანდიდატს შორის გაიმართება. ესენი არიან ანატოლი ბიბილოვი და ძამბოლატ თედეევი. თუ რასაკვირველია ეს უკანასკნელი არჩევნებიდან არ მოხსნეს.

გავრცელებული ინფორმაციით, ანატოლი ბიბილოვს დაუფარავად უჭერს მხარს რუსეთის საგანგებო სიტუაციათა მინისტრის გენერალი სერგეი შოიგუ. მხარდამჭერები სხვათა შორის არც ძამბოლატ თედეევს აკლია. როგორც ამბობენ, მას პუტინთან დიდი ხნის ახლობლობა აკავშირებს. გავლენა და ავტორიტეტი მას არც ოსებში აკლია. ასე რომ ვნახოთ, წინ მაგარი გართობა გველოდება.

# რამაზ საყვარელიძე: „ხელისუფლებამ თავის შეცდომებზე ისწავლა, ოპოზიციამ — ვერა“

**ნათია ხურცილავა**

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე აცხადებს, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მნიშვნელობა ოპოზიციას გაცნობიერებული არა აქვს, ხელისუფლებისგან განსხვავებით.

ის ამბობს, რომ ხელისუფლებამ იცის ამ არჩევნების მნიშვნელობა და მის მოსაგებად უკვე იბრძვის.

რამდენად რეალურია, ხელისუფლების შიგნით გადაჯგუფება დაიწყოს, ამაზე საყვარელიძე პასუხობს, რომ ეს მანამ არ მოხდება, სანამ რეალური ოპოზიცია რეალურ პრობლემებზე ისაუბრებს.

ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა:

***— ბატონო რამაზ, რას იტყვით ეროვნული ფორუმის იდეაზე — „ქართველთა მარშზე“? ნაწილმა უკვე განაცხადა, რომ ეს არის პარტიის მიერ პოლიტიკური სეზონის გახსნა, პოლიტიკური აქტივობა. თუმცა, ამ განცხადებას არ ეთანხმება გუბაზ სანიკიძე.***

— გუბაზ სანიკიძემ განცხადება გააკეთა, რომ ამ აქციაზე არ იქნება არც ერთი პარტიის პარტიული დროშა. ეს უკვე ნიშნავს, რომ მართლაც არ იქნება ეროვნული ფორუმის მიერ დაგეგმილი 27 სექტემბრის აქცია ერთი პარტიის კუთვნილება. ამით უკვე არის ნათქვამი, რომ ეს აქცია უფრო მეტია, ვიდრე პარტიული დათვალიერება.

***— ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს არის ერთგვარი წინასაარჩევნო კამპანია?***

— არა მგონია, ასე იყოს. ოპოზიციამ კი დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს უფრო სხვაა.

***— ხელისუფლებამ უკვე გახსნა წინასაარჩევნო კამპანია. როგორც ჩანს, ხელისუფლება კარგად აცნობიერებს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მნიშვნელობას. რეალურად ხომ ეს არჩევნები განსაზღვრას დაახლოებით ათი წლის პოლიტიკურ ცხოვრებას. ამას თუ აცნობიერებს ოპოზიცია?***

— არა, მაშინ სხვანაირად მოიქცეოდა. ერთადერთი, ვისაც ეს გაცნობიერებული აქვს, არის ნაციონალური მოძრაობა.

***— ანუ იბრძოლებენ იმისთვის, რომ ისევ შეინარჩუნონ საპარლამენტო უმრავლესობა?***

— ერთადერთი შემთხვევა მახსენდება, როდესაც კომბოსტოს მოსაყვანად წავიდა იმპერატორი და თავი დაანება იმპერატორობას. დანარჩენი ვის დაუნებებია თავი ხელისუფლებისთვის. ბუნებრივია, რომ ნაციონალური მოძრაობა იბრძვის ხელისუფლებაში დასარჩენად. ეს სავსებით ბუნებრივი მოვლენაა, სხვანაირად რომ იყოს, ეს იქნებოდა არაბუნებრივი.

***— ელოდებით ხელისუფლების შიგნით შიდა დინებებს, გადაჯგუფებებს?***

— სახელისუფლებო პარტიას ეს პროცესი აქვს დაწყებული. ალბათ კიდევ უფრო განავითარებს, როდესაც გაჩნდება ფორმალური ოპოზიციური პარტიები, რომლებიც რეალურად ხელისუფლებისთვის ხელშემწყობი პარტიები იქნება. მახსოვს, ერთხელ მამა ალიევმა იკითხა შევარდნაძეს, რეალური ოპოზიციური პარტიები გყავთო? როდესაც უთხრეს, დიახო, მან თქვა, მე რვა ჩემი ოპოზიციური პარტია მყავსო. ამდენად, არის ასეთი პრაქტიკა, როდესაც მმართველი აჩენს თავისივე ოპონენტს იმისთვის, რომ რეალური ოპონენტების ხმა დაიკარგოს. ამ არჩევნებზეც გაჩნდება ასეთი ოპონენტი პარტიები, მაგრამ იქამდე, სანამ რეალური ოპოზიცია იქნება აქტიური და მანამდე ძალიან შეკრული იქნება სახელისუფლებო გუნდი.

***— წინააღმდეგ შემთხვევაში როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?***

— თუ რეალური ოპოზიცია ჩაწყნარდება თავისივე გადაწყვეტილებით ან თავისივე სისუსტის გამო ხმას ვეღარ ამოიღებს, მაშინ სახელისუფლებო გუნდი, რომელიც ავანსცენაზე მარტო დარჩება, დაიწყებს რღვევას.

***— რამდენად რეალური შეიძლება ეს იყოს?***

— ამას სოციალური ფსიქოლოგიის კანონი იწვევს. ამას „ბანდის ეფექტი“ ეწოდება. სანამ გარედან საფრთხე ემუქრება ამა თუ იმ ჯგუფს, იქამდე ეს ჯგუფი კონსოლიდირებულია, თუმცა, ამ საფრთხის მოხსნის შემდეგ ჯგუფი შიგნით იწყებს ძალაუფლების გადანაწილებაზე ერთმანეთთან კონკურენციას.

***— გამოდის, ოპოზიციის მოქმედებაზეა დამოკიდებული ხელისუფლების გარკვეული ნაბიჯები?***

— დიახ, მაგალითად, ეს ფრაგმენტი ნამდვილად არის დამოკიდებული. შეიძლება, ოპოზიციური საქმიანობა ისე აწარმოო, რომ რეალურად მას უფრო მეტი ძალა ჰქონდეს, მაგრამ ეს არ აჩვენოს, არ გამოააშკარაოს. ძალიან ხშირად ჩვენი ოპოზიცია უფრო იმუქრება, ვიდრე საფუძველი აქვს. ამ მუქარაზე კი ხელისუფლება კონსოლიდაციას ახდენს. ხელისუფლების შიგნით ხდება კონსოლიდაცია. მერე აღმოჩნდება, რომ ხელისუფლება გაცილებით უფრო მზად იყო შეჯახებისთვის, ვიდრე ოპოზიცია. ხომ გვახსოვს ეს ფრაზა: „მიშა, მოვდივარ“, მოხდა შეჯახება და აღმოჩნდა, რომ ვინც მოდიოდა, ის მზად არ იყო ამ შეჯახებისთვის. ეს გამეორდა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ. ეს შეცდომები, რა თქმა უნდა, არსებობს და ამის დაუნახაობა შეუძლებელია. არის ისეთი შეცდომები, რომლებიც ძალთა განახლებას ხელს უწყობს ხელისუფლებაში, ვგულისხმობ ხელისუფლების კონსოლიდაციას, ენერგიის მობილიზებას.



რამაზ საყვარელიძე

***— ბატონო რამაზ, ამ შეცდომებზე (ვგულისხმობ მათ შეცდომებს) თუ ისწავლა ოპოზიციამ?***

— ვხედავ, რომ ხელისუფლება სწავლობს თავის შეცდომებზე. საარჩევნო პროცესში რაღაცებს ცვლის, ასევე თავის პოზიციას ცვლის დამოკიდებულებაში. ისიც ახალი ეტაპია ხელისუფლების პოლიტიკაში, რომ თავისთვის ხელსაყრელი ოპოზიციური პარტიები გააძლიერა. ხელისუფლებამ იცის, რომ მხოლოდ თვითონ არ უნდა იყოს და უნდა ჰყავდეს გამკრიტიკებელი, მაგრამ თავისივე სატელიტი. ოპოზიციას ვერ ვატყობ ასეთ მოსწავლეობას. ოპოზიციამ თავად იცის ყველაფერი და საკუთარი შეცდომების მოსწავლეობაც კი არ არის.

***— გამოდის, რომ ოპოზიცია საკუთარ შეცდომებზეც ვერ სწავლობს?***

— როგორც ჩანს, ვერა.

## ადვოკატთა ასოციაცია ადვოკატთა სოლიდარობის აქციებს იწყებს

დღეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს წინ ადვოკატთა პროფესიული სოლიდარობის აქცია გაიმართება.

როგორც „მედიანიუსს“ ასოციაციიდან აცნობეს, 16 სექტემბერს ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისიის საგანგებოს ხდომაზე განიხილეს ადვოკატ ტარიელ მურმანიშვილის უკანონო დაპატიმრებასთან დაკავშირებული საკითხები.

— ადვოკატ ტარიელ მურმანიშვილს სდევნიან პროფესიული მოვალეობის სრულყოფილად შესრულებისათვისXანუ მოგებული საქმისათვის. ამავე სხდომაზე გადაწყდა დაიწყოს ფართომასშტაბიანი აქციები და გამოსვლები. ადვოკატთა კორპუსის დევნა უპრეცედენტო მასშტაბებს იღებს, მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერისა, გრძელდება ადვოკატთა ტერორი. ირღვევა როგორც ადვოკატის, ასევე მისი დაცვის ქვეშ მყოფი მოქალაქეების უფლებები, — ნათქვამია ასოციაციის განცხადებაში.

**მედიანიუსი**

შედით საიტზე atb.ge



# თამარ ჩხეიძე: „ნაციონალები ეკლესიის დასასუსტებლად ყველაფერს აკეთებენ“

შორენა კოწოწაშვილი



თამარ ჩხეიძე

რომელი ორი მიმართულება იკვეთება ეკლესიის წიაღში და რატომ ვერ იქნება ბოკერია პრეზიდენტობის კანდიდატი და გარეშე ძალების ფავორიტი, ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს თამარ ჩხეიძესთან.

***— ქალბატონო თამარ, საინტერესოა, თქვენი, როგორც ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლის, პოზიცია ხელისუფლების მიერ ეკლესიასთან მიმართებაში განხორციელებული ნაბიჯების მიმართ.***

— ზოგადად, რა თქმა უნდა, სწორია ის აზრი, რომ ხელისუფლება მეტ-ნაკლებად ცდილობს მთელი ამ წლების მანძილზე ეკლესიის როლის შემცირებას. განსაკუთრებით ამ მხრივ თავისუფლების ინსტიტუტი აქტიურობს. ეს ფაქტია. მაგრამ რაც შეეხება ამ ბოლო დროს მიღებულ კანონში შესწორებებს, ვფიქრობ, რომ ეს იმდენად არ ისახავდა ეკლესიის როლის შემცირებას, რამდენადაც იყო პროვოკაცია. პროვოკაციის ერთ-ერთი მიზეზი იყო ანტისომხური ისტერიის გამოწვევა საქართველოში. სომხებსა და ქართველებს შორის დაპირისპირების პროვოცირება. მეორე მიზეზი იყო ეკლესიის შიგნით წაქეზება გარკვეული მიმართულებით ანუ გარკვეული მიმართულებით სასულიერო პირების აქტივიზაცია.

***— ამ გარკვეულ მიმართულებაში რას გულისხმობთ?***

— ეკლესიას დღეს ორი მიმართულებით ებრძვიან: ერთი არის ფსევდო-ლიბერალური, უფრო სწორად, ათეისტური მიმართულება. ეს არის გამოკვეთილი თავისუფლების ინსტიტუტის მოქმედებებში — რამიშვილი, ბოკერია, რომლებიც ვითომ ლიბერალური ღირებულებებით ებრძვიან ეკლესიას. მაგრამ არის მეორე მიმართულება, რომელიც მე პირადად, მიმაჩნია, რომ არანაკლებ საშიშია. ეს არის ეკლესიაში სხვადასხვა აღმსარებლობისადმი არატოლერანტული, აგრესიული დამოკიდებულების წაქეზება. საერთოდ, ფუნდამენტალისტური მიმართულების წაქეზება, რომელიც აგრესიულია, როგორც ყველა სხვა რელიგიისა და ყველას მიმართ. ასევე, თვით მართლმადიდებელი ქართველების მიმართაც გარკვეულად ფუნდამენტალისტური ღირებულებებიდან გამომდინარე აგრესიულია. ანუ ზოგადად გამოირჩევა აგრესიულობითა და სიბნელით. აი, ამ ორი მიმართულებით ხდება ეკლესიასთან ბრძოლა. ვფიქრობ, რელიგიურ კონფესებთან დაკავშირებით კანონში შესწორებები რომ მიიღეს, ამით ზოგადად კი აქვთ ეკლესიის შესუსტების მიზანი, მაგრამ მთავარი მიზანი ამ კონკრეტული შესწორებებისა იყო უფრო პროვოკაციული. ერთი მხრივ, ქართულ-სომხური დაპირისპირების პროვოცირება უნდოდათ; მეორე მხრივ, ეკლესიაში გააქტიურების, პირობითად დავარქვათ ამას, ფუნდამენტალისტური მიმართულების. ეს საშიშია და არანაკლებ საშიში ფსევდოლიბერალურ მიმართულებასთან შედარებით. ეს ორივე მიმართულება, რომლებიც თითქოს ერთმანეთს გამორიცხავს და თითქოს ერთმანეთს უპირისპირდება, სინამდვილეში ორივე მიმართულება მიმართულია ქრისტიანობის წინააღმდეგ და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ.

***— ანუ ეკლესიის შიგნით საკმაოდ საშიში ტენდენციაა?***

— რასაკვირველია. გამოკვეთილია ტენდენცია, რომ რაიმე გზით მოხდეს ქართულ საზოგადოებაში ეკლესიის როლის შემცირება.

***— ქალბატონო თამარ, გსმენიათ იმის შესახებ, რომ ხელისუფლების ინტერესში იყოს ორი პატრიარქის არსებობა ქვეყანაში? საუბარია იმაზე, რომ გარკვეული სამღვდელო პირები გამოეყოფიან დედა-ეკლესიას და შპს-დ დარეგისტრირდებიან, როგორც მართლმადიდებელი ეკლესია, რომელსაც თავისი პატრიარქი ეყოლება.***

— რა თქმა უნდა, ესეც შესაძლებელია. საერთოდ, ნაციონალების სურვილია, ყველა მეთოდით შეასუსტონ არსებული ეკლესია და დღეს მოქმედი პატრიარქი. მე არ ვფიქრობ, რომ ამას კავშირი ჰქონდეს მაინცდამაინც ამ კანონთან. იმდენად აქვს კავშირი, რამდენადაც ამ კანონის მიღების ერთ-ერთი მიზანი იყო, როგორც გითხარით, შიდა ეკლესიური დაპირისპირების პროვოცირება და იმ მიმართულების გაძლიერება და აქტივიზაცია, რომლებიც მე მოვიხსენიე, როგორც ფუნდამენტალისტები. აი, ამ მიმართულებით აქტივიზაცია, რა თქმა უნდა, ეკესიაში განხეთქილების შეტანისკენაც არის მიმართული.

***— თქვენი საუბრიდან გამოდის, რომ სომხური ინტერესი უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ხელისუფლების ინტერესი, რომ ეკლესიის წიაღში გაეჩაღებინა ანტიმართლმადიდებლური ბრძოლა. ასეა?***

— ეს იყო ხელისუფლების ინტერესი ცალკე აღებული, თუ ეს იყო რუსეთის შეკვეთა, ეს ცალკე საკითხია. ზოგადად, ქართული ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული ეს კამპანია, რა თქმა უნდა, არ არის საქართველოს ინტერესში და ასახავს ხელისუფლების ანტირელიგიურ, ანტისაეკლესიო განწყობას. თვითონ ამ კანონში იმდენად არ იყო ჩადებული ის, რაშიც საფრთხეს ხედავდნენ. საფრთხეს ხედავდნენ იმაში, რომ ვთქვათ, სომხურ ეკლესიას გადაეცემა უფრო მეტი ქონება, ვიდრე მას ეკუთვნის. ეს თუ ხელისუფლებას უნდა, ყოველგვარი შესწორებების გარეშეც შეუძლია განახორციელოს. ამ კანონში ჩადებული იყო სხვა ბომბები. რამდენადაც ეს წარმოადგენდა პროვოკაციას, უფრო მეტად ეს იყო პროვოკაცია.

***— ზემოთ თავისუფლების ინსტიტუტი ახსენეთ. შეგიძლიათ თქვათ, რომ საკმაოდ სერიოზულ მასშტაბებს აღწევს ამ სახელისუფლო არასამთავრობო ორგანიზაციის ანტიეკლესიური მუშაობა?***

— რა თქმა უნდა. ფაქტია, თავისუფლების ინსტიტუტი არა მხოლოდ ეკლესიის წინააღმდეგ იბრძვის, არამედ ყოველგვარ ანტიქართულ პროცესებს აქეზებს.

***— რადგან სომხურ თემას შეეხეთ, ამ ზაფხულს აქტიური გახდა ქსენოფობიაზე საუბარი. ხელისუფლებამ რობერტ სტურუაც ქსენოფობიაში დაადანაშაულა და ამ ნიშნით მოხსნა. მართლა ასე იმატა ქსენოფობიურმა განცხადებებმა სომხებთან მიმართებაში?***

— იცით რა, ზოგჯერ ეს სრულიად ყალბად გამოიყენება. თუნდაც იგივე სტურუას მისამართით გამოყენებული ეს ბრალდება იყო აბსოლუტურად ყალბი. არავითარ ქსენოფობიაზე იქ საუბარი არ იყო. უბრალოდ, ღიად იყო გამოხატული ხელისუფლების მიმართ ამ ადამიანის კრიტიკული დამოკიდებულება. ეს საბაბად გამოიყენეს. არავითარ ქსენოფობიას არ შეიცავდა სტურუას გამოსვლები. ზოგადად თუ ვიტყვით, დაპირისპირებას სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს შორის, ამ დაპირისპირების პროვოცირება ნებიმიერ დროს შეიძლება. ადამიანებს შორის ნებისმიერი განსხვავება იძლევა დაპირისპირების განხორციელების ნიადაგს. რელიგიურ კონფესიებთან დაკავშირებით კანონში იმ მუხლების შეტანის ერთ-ერთი მიზანი, სავარაუდოდ, სწორედ ეს იყო, რომ ხელოვნურად მომხდარიყო ქართულ-სომხური დაპირისპირების პროვოცირება. საბედნიეროდ, ეს შორს არ წასულა. იმედი მაქვს, უფრო შორს არ წავა, მაგრამ ამის მცდელობა იყო.

***— ხელისუფლების ინტერესებში ზის ახალი პროვოკაცია მეზობელ სომხეთთან?***

— სამწუხაროდ, ამ ხელისუფლებას საკუთარი ინტერესებიც აქვს და სხვის ინტერესებსაც ატარებს. უფრო სწორად, საკუთარი აქვს იმდენად, რამდენადაც მათ სურთ ძალაუფლების შენარჩუნება. ჩვენი უბედურება ისაა, რომ ხელისუფლება, ისევე როგორც ოპოზიციაც, გამომდინარეობს და იმართება გარეშე მითითებებით. აქედან გამომდინარე, რასაკვირველია, საშიშია, რომ კონკრეტული ძალა კონკრეტულ შემთხვევაში შეასრულებს გარედან მოსულ მითითებას. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ჩვენ გარეშე მტრის ინტერესში არის შიდა კონფლიქტების პროვოცირება, ეროვნებათშორისი და რელიგიათშორისი კონფლიქტების პროვოცირება.

***— გარეთა მტრებში რუსეთს გულისხმობთ?***

— უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, რუსეთს ვგულისხმობ. რეალურად, დღეს, გამოკვეთილი მტერი საქართველოთვის არის პუტინის ხელისუფლება. მე არ ვიტყოდი მთელ რუსეთზე. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, დღევანდელი რუსეთი თავისი ხელისუფლებით, რასაკვირველია, მტრულად არის განწყობილი საქართველოს მიმართ.

***— დაბოლოს, როგორც წარმოგიდგენიათ სააკაშვილის ნაბიჯები, უპრობლემოდ დაიკავებს პრემიერის პოსტს? „ვიკილისქსი“ წერს, ნაციონალებს საპრეზიდენტო კანდიდატად 2008 წელს დავით ბაქრაძე უნდოდათ. ისევ ბაქრაძის კანდიდატურა დარჩება თუ თავისუფლების ინსტიტუტიდან გიგა ბოკერიას ამბიციები წამოიწევს?***

— არა მგონია, რომ თვითონ გიგა ბოკერია პირადად წამოაყენონ პრეზიდენტობის კანდიდატად. იმიტომ, რომ ის ძალიან არაპოპულარულია. ყოველთვის, როცა კანდიდატურას ეძებენ რალაც, გარკვეულ საწყის პოპულარობას ითვალისწინებენ. ამიტომ, არა მგონია, ეს ბოკერია იყოს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჯერ არ არის გამოკვეთილი. როგორც აღვნიშნე, ხელისუფლების საკითხი საქართველოში ჩვენი პოლიტიკური ძალებისა და საზოგადოების უვარგისობის შედეგად, სამწუხაროდ, გარეთ წყდება. ვფიქრობ, რომ იქ, სადაც ეს საკითხი წყდება, ჯერ ბოლომდე არ არიან ჩამოყალიბებული ამ საკითხზე. ამიტომ ზუსტად ჯერ ისიც არ იციან, ვისზე შეაჩერებენ არჩევანს. აქვთ რამდენიმე ვარიანტი და თანდათანობით სწავლობენ მათ და გამოკვეთენ საბოლოო არჩევანსაც. ისევ ნაციონალების ფარგლებში მოხდება არჩევანის გაკეთება, ირაკლი ალასანიაზე თუ სხვაზე, ამაზე ჯერ საუბარი ნაადრევია. ვფიქრობ, რომ ჯერ ბოლომდე არ არიან ჩამოყალიბებულები.

## ახალი მსოფლიო კრიზისი საქართველოს ვერ დააზარალებს

ეკონომიკის ექსპერტი მერაბ ჯანიაშვილი მიიჩნევს, რომ მსოფლიოს ახალ ეკონომიკურ კრიზისს საქართველოზე სერიოზული გავლენა ვერ ექნება.

„მედიანიუსთან“ საუბრისას იგი ევროპის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელ ჟანკლოდ ტრიშეს განცხადებას გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც, მსოფლიოს ახალი კრიზისი ემუქრება.

როგორც ჯანიაშვილმა განმარტა, წინა კრიზისის მსგავსად, საქართველოს არც მომავალი კრიზისი დააზარალებს, რადგან მისი ბაზარი მსოფლიო ეკონომიკასთან მჭიდროდ არ არის დაკავშირებული.

— საქართველო არც წინა კრიზისს დაუზარალებია და ნაკლებად სავარაუდოა, რომ მომავალმა კრიზისმა დააზარალოს. კრიზისმა რომ დაგაზარალოს, სხვა ქვეყნების ეკონომიკასთან მჭიდროდ უნდა იყო ინტეგრირებული და მასთან სხვადასხვა ურთიერთობა გქონდეს. საფინანსო ბაზარი ჩვენ არ გვაქვს და გავლენა რამ უნდა მოახდინოს? ერთადერთი, რითიც მსოფლიო ეკონომიკას ვუკავშირდებით, ისაა, რომ უცხოეთის ქვეყნებიდან ვახდენთ იმპორტს. კრიზისის დროს პროდუქცია იაფდება, რადგან მასზე მოთხოვნა მცირდება. შესაბამისად, ეს შესაძლოა, გარკვეულწილად კარგიც იყოს, რადგან იმპორტი ბევრად გაიაფდება, — აღნიშნა მერაბ ჯანიაშვილმა.

მისი თქმით, მართალია, ექსპორტს გარკვეული პრობლემები შეექმნება, მაგრამ მისი მოცულობა იმდენად მცირეა, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი საქართველოზე სერიოზულ გავლენას ვერც ამ მხრივ მოახდენს.

ექსპერტი აქვე შენიშნავს, რომ მსოფლიო კრიზისს რომ თავი დავანებოთ, საქართველო, ადგილობრივი პრობლემებიდან გამომდინარე, „ისედაც მუდმივ კრიზისებში იმყოფება“.

რაც შეეხება ახალ კრიზისს, მერაბ ჯანიაშვილის თქმით, იმ ვითარებიდან გამომდინარე, რაც პორტუგალიაში, ირლანდიასა თუ საბერძნეთშია შექმნილი, მისი დადგომა საკმაოდ რეალური და მოსალოდნელია.

მედიანიუსი

# ნანა კაკაბაძე: „გაგვაგებინოს ეროვნულმა ფორუმმა, რას ნიშნავს ქართველთა მარში!“

შორენა კოწოწაშვილი

არის თუ არა ეროვნული მოძრაობის გაშლა აუცილებელი და გაამართლებს თუ არა ეს გზა ამ ეტაპზე, ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ყოფილ პოლიტპატიმარ ნანა კაკაბაძესთან.

***— ქალბატონო ნანა, ეროვნული ფორუმი ახალი ეროვნული მოძრაობის გაშლის აუცილებლობაზე საუბრობს და პირველ ნაბიჯად „ქართველთა მარშს“ გეგმავს. ერთადერთი გამოსავალია, ეროვნული მოძრაობის ფართოდ გაშლა სააკაშვილის ხელისუფლების შესაცვლელად?***

— საერთოდ, არის სიტუაციები, როცა ძველის აღდგენა, ძველის გახსენება, ძველი სისტემით მოქმედება ეფექტურია. მაგრამ არ ვფიქრობ, რომ ძველი ეროვნული მოძრაობის ტიპურად განმეორება დღეს შედეგის მომტანი იქნება. ამასთან მიმაჩნია, რომ ეროვნული მოძრაობის აღდგენა საქაპთველოს განადგურებისგან იხსნის.

***— გამოდის, რომ ეროვნულმა ფორუმმა უფრო მეტად უნდა დააკონკრეტოს და ხაზგასმით თქვას, რას გულისხმობს ეროვნული მოძრაობის მეორე ეტაპში, რათა იგივე 27 სექტემბრის „ქართველთა მარში“ შედგეს?***

— დღესაც უკვე უნდა მიდიოდეს ძალიან სწორი ინფორმაცია ხალხამდე, რას ნიშნავს ეს ეროვნული მოძრაობა და რისთვის უნდა იბრძოდეს საზოგადოება. რა არის ის ღირებულებები, რისთვისაც საზოგადოება უნდა იბრძოდეს. მაგალითად, დღეს ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის სწრაფვა იმისათვის, რომ მოდი, ეს მე დავაანონსე და ჩემია და მე უნდა გავიმარჯვო უმრავლესობით, ეს თავისთავად ცუდი მომენტია. დიქტატორი და უმრავლესობით მოსული სააკაშვილი იქნება თუ სხვა ვინმე, მნიშვნელობა არ აქვს. ჩვენ გვინდა დაბალანსებული, გაწონასწორებული და მრავალპარტიული სისტემა, სადაც ყველა ამომრჩევლის, ყოველ შემთხვევაში, შეძლებისდაგვარად, ამომრჩეველთა უმრავლესობის აზრი და გემოვნება იქნება გათვალისწინებული. აღარავის უნდა ერთპარტიული მმართველობა, ისეთი მმართველობა, როგორიც იყო კომინისტური რეჟიმის დროს. ისეთი მმართველობა, როგორიც არის დღეს სააკაშვილის მმართველობის დროს, სახელად მრავალპარტიულის, მაგრამ, ფაქტობრივად, ერთპარტიულის ანუ ყველანაირი პარტიის დაანონსება, რომ მე მხოლოდ და მხოლოდ ჩემს მიტინგებზე ჩემს დაანონსებულ აქციებზე გავალ და სხვის აქციებზე არ გავალ, ეს არის მიუღებელი. ჩვენ, საზოგადოებას, გვჭირდება ისეთი ხელისუფლება, რომელიც ზუსტად იქნება გარკვეული, რა მოთხოვნები და რა სურვილები გააჩნია ერს და რა არის მისი დაკვეთა. რომელი ხელისუფლებაც ამ დაკვეთის შესრულებას შეძლებს, ის უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში. ასეთი ხელისუფლება არასდროს იქნება მარტო ერთი პარტიით დაკომპლექტებული. ასეთი ხელისუფლება იქნება აუცილებლად მრავალპარტიული. ეს იქნება აუცილებლად პლურალიზმზე ორიენტირებული და არა ის, რომ ეს არის ჩემი აქცია, ჩემ მიერ გამოცხადებული და არავინ იქნება სხვა ამ აქციის ორგანიზატორი. ისევე, როგორც დღეს სხვა პარტიები იძახიან, ა, დააანონსა აქცია გუბაზ სანიკიძემ, მაშინ ჩვენ ამაში მონაწილეობას არ მივიღებთ. არავის სჭირდება ასეთი პარტია, რომელიც სხვის დაანონსებულ პროტესტზე არ გავა. არავის სჭირდება ისეთი პარტია, რომელიც მხოლოდ თავის დაანონსებულ მიტინგზე გადის და მხოლოდ თავის დაანონსებულ ქმედებებში იღებს მონაწილეობას. ჩვენ გვჭირდება სახალხო, ხალხზე ორიენტირებული პოლიტიკური ძალა, რომელსაც ის ყველა მოთხოვნა, რომელიც დღეს ქვეყანაში დგას, აქვს გაცნობიერებული, გააზრებული და რაც მთავარია, გვეტყვის, რით იქნება ის იმაზე უკეთესი, რომელიც დღეს არის. თუ ის ისევე ერთპარტიული იქნება, როგორიც დღეს არის სააკაშვილი, მაშინ რით იქნება ის იმაზე უკეთესი? არაფრით. ჩვენ გვჭირდება არა ასეთი მოძალადე და ასე უზურპირებული ძალაუფლების მოთხოვნით შეპყრობილი პოლიტიკური ძალები, არამედ სწორედ დაბალანსებული და დემოკრატიულად მოაზროვნე ძალები, რომელიც ქვეყნის ამ კრიზისიდან და ამ ჩიხიდან გამოყვანას შეძლებენ.



ნანა კაკაბაძე

***— რა შედეგს მოიტანს 27 სექტემბერი?***

— ამ ერთი მარშით, რომელიც 27 სექტემბერს არის დაგეგმილი, ბუნებრივია, ვერანაირი კონკრეტული მიზნების გამოკვეთა ვერ მოხდება. თვითონ პარტიამ, რომელმაც ეს მარში დააანონსა და ნებისმიერმა სხვა პარტიამ, რომელსაც აქვს პრეტენზია, რომ მოვიდეს ხელისუფლებაში, საზოგადოებას უნდა განუმარტოს, ეს იქნება სინგაპურიზაციის წინააღმდეგ ბრძოლა; ეს იქნება ამერიკანიზაციის წინააღმდეგ ბრძოლა თუ რუსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლა. ანუ უნდა დააკონკრეტოს, რას სთავაზობს საზოგადოებას. საზოგადოებას კი უნდა მიეცეს საშუალება, გააკეთოს არჩევანი, რა არის მისთვის პრიორიტეტული, რას მიიჩნევს ის საჭიროდ და იმას უნდა მისცეს ხმა. ამიტომ კიდევ ვიძახი, დღეს, გუბაზ სანიკიძის მიერ დაანონსებული ერთი 27 სექტემბრის მარში არაფერს ამას არ შეცვლის. ეს იქნება უბრალოდ დემონსტრირება, რამხელა საპროტესტო ელექტორატი არის დღეს ქვეყანაში. მაგრამ ეს საპროტესტო ელექტორატიც სრულად არ გამოვა ქუჩაში, თუ დღეს მათ ვერ შეძლეს სწორი მესიჯების მიწოდება საზოგადოებისთვის, თუ რატომ უნდა გამოვიდეს ეს ხალხი გარეთ; რა უნდა დაანახოს ხელისუფლებას; რისი დასაწყისია ან რა მოთხოვნებისთვის არის ეს საზოგადოება დღეს იქ შეკრებილი. ეს უნდა ითქვას ძალიან მკაფიოდ და გააზრებულად, რაც, ჯერჯერობით, მე პირადად არ მომისმენია. თემცა, მე არა მაქვს პრეტენზია, რომ ყველა გამოსვლა მაქვს მოსმენილი და ყველა ინტერვიუ წაკითხული, რომელიც 27 სექტემბრის მარშის ირგვლივ დაიწერა. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ეს იმდენად ხშირად უნდა ისმოდეს, რომ ყველა ადამიანამდე იყოს მისული, თუ რისთვის იგეგმება ეს მსვლელობა.

# „თრიალეთი“ სიხშირის შეცვლას ითხოვს

ტელერადიოკომპანია „თრიალეთი“ ლიცენზიის მოდიფიცირებას და სიხშირის შეცვლას კიდევ ერთხელ ითხოვს. შესაბამისი თხოვნით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჩიქოვანს ტელერადიოკომპანიის გენერალურმა დირექტორმა ჯონი ნანეტაშვილმა მიმართა. როგორც მიმართვაში არის აღნიშნული, „თრიალეთი“ ამ კანონიერ მოთხოვნას უკვე ექსვის წელია, უშედეგოდ აყენებს.

— თუ კი კომისიის საზრუნავია, რომ მოსახლეობამ მიიღოს ხარისხიანი გადაცემები, მაშინ მოგმართავთ, რომ ამ შემთხვევაში ერთადერთი გამოსავალი არის ლიცენზიის მოდიფიცირება და სიხშირის შეცვლა. კიდევ ერთხელ გთხოვთ, რომ მიიღოთ კანონიერი გადაწყვეტილება... გთხოვთ, მოგვაცილეთ საბჭოთა კავშირის დროინდელი სტანდარტების და ხარისხის სიხშირე... გთხოვთ, ჩვენი ლიცენზიის არეალში მაუწყებლობისათვის შეგვიცვალოთ და გამოგვიყოთ ჩვენს რეგიონში არსებული უამრავი თავისუფალი სიხშირიდან ერთ-ერთი... გამოგვიყავით, თუნდაც, ხელი-



სუფლების დავალებით, ქიტოშვილის თავმჯდომარეობის დროს, კომისიის მიერ სრულიად უკანონოდ და უსამართლოდ, ჩვენთვის წართმეული 34-ე სიხშირე, — ნათქვამია მიმართვაში.

ჯონი ნანეტაშვილის თქმით, დაახლოებით ერთი წლის წინათ კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის ლიცენზიის მოდიფიცირება მოახდინა და გორში სატელევიზიო სიხშირე შეუცვალა. „თრიალეთის“ სურვილია, რომ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მოქმედება „რუსთავი-2“-ისა და მის მიმართ ერთნაირი იყოს, მით უმეტეს, რომ „თრიალეთს“ ახალი სიხშირე არა ახალი ტელევიზიისათვის, არამედ მხოლოდ გადაცემების ხარისხის გასაუმჯობესებლად სჭირდება.

ტელერადიოკომპანია კომუნიკაციების ეროვნული კომისიისაგან კანონით გათვალსიწინებულ ვადებში ითხოვს პასუხს კითხვაზე, თუ რატომ ვერ ხერხდება ამ ხნის მანძილზე „თრიალეთისათვის“ სიხშირის შეცვლა.

— ასევე გთხოვთ, წერილობით დამიდასტუროთ თქვენთან და კომისიის ყველა წევრთან შეხვედრის დროს ჩემს მიმართ ნათქვამი მიზეზი, რომ „მართლები ხართ და კანონით გეკუთვნით სიხშირის შეცვლა, მაგრამ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის გამო, ვალდებულები ვართ გორში სიხშირის გაცემასთან დაკავშირებით რუსეთის მხარე ჩავაყენოთ საქმის კურსში, მაგრამ ჩვენ რუსეთს არ ველაპარაკებით და სიხშირესაც ვერ შეგიცვლითო, — მიმართავს ჯონი ნანეტაშვილი ირაკლი ჩიქოვანს.

**მედიანიუსი**

# კობა სუბელიანისგან პირობის შესრულებას მოითხოვენ

*შალვა ჯოხა ე*

ლტოლვილთა და განსახლების მინისტრ კობა სუბელიანს დევნილებისადმი მიცემული პირობის შეუსრულებლობაში ადანაშაულებენ. ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ ხელმძღვანელის, ქეთი ხუციშვილის თქმით, მათ მიერ დაფინანსებული კვლევისას გამოიკვეთა, რომ დევნილებს სამინისტრო საცხოვრებლების პრივატიზებას დაჰპირდა, თუმცა ეს პროცესი შეაჩერა. კვლევა, რომლის შესახებაც ქეთი ხუციშვილი საუბრობს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ ჩაატარა. ამ ორგანიზაციის წარმომადგენელი ლაშა გოგიძეც აღნიშნავს, რომ ბევრ სხვა პრობლემასთან ერთად, კვლევისას გამოიკვეთა, დევნილებისათვის ქონების პრივატიზაცია როგორ ჭიანურდება.



დევნილებმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მკვლევრებს განუცხადეს, რომ მთავრობის წარმომადგენლებმა, მათ შორის მინისტრმა კობა სუბელიანმა, ისინი რამდენჯერმე ინახულა. მინისტრი მათ 2011 წლის მარტი-აპრილისთვის უკვე გარემონტებული ბინების საკუთრების რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტების გადაცემას დაჰპირდა. ეს პირობა ჯერაც არ შესრულებულა. დევნილთა თქმით, სამინისტროს რეგიონული ოფისების წარმომადგენლებმა იძულებით გადაადგილებულებით დასახლებულ ბევრ კოლექტიურ ცენტრში აღწერა უკვე ჩაატარეს და საჭირო დოკუმენტები შეაგროვეს იმის განსასაზღვრად, თუ ვინ სად და რამხელა ფართში ცხოვრობს. ამის მიუხედავად, პრივატიზების პროცესი, როგორც ჩანს, აქ გაიყინა. იმ 22 ობიექტიდან, რომლებიც „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მკვლევართა გუნდმა მოინახულა, მხოლოდ ერთი, ქუთაისში მდებარე ობიექტი იყო სრულად პრივატიზებული; კიდევ ერთი, სენაკის სამხედრო დასახლებაში მდებარე ობიექტი კი — ნაწილობრივ პრივატიზებული. არადა, 14 ივნისს, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენლებმა საჯაროდ განაცხადეს, რომ კოლექტიური ცენტრების პრივატიზების პროცესი 2011 წლის ბოლოსათვის უნდა დასრულდეს. კვლევის ავტორები რეკომანდაციით მიმართავენ სამინისტროს, რომ ეს პირობა შესრულდეს. მათი თქმით, თითოეული კოლექტიური ცენტრის პრივატიზების კონკრეტული თარიღი უნდა დადგინდეს, მის შესახებ დევნილებს ეცნობოთ და პროცესი, დაპირებისამებრ, წლის ბოლომდე დასრულდეს.

თუმცა, პრივატიზაციის პროცესის გაჭიანურება ერთადერთი პრობლემა არ არის, რაც კვლევამ გამოავლინა. მნიშვნელოვანია ის, თუ რა თანხა დაიხარჯა დევნილების თავშესაფრების რეაბილიტაციისთვის და რამდენად ხარისხიანად ჩატარდა ეს პროცესი. ცნობილი ფაქტია, რომ აგვისტოს ომის შემდეგ, საერთაშორისო დონორებმა (მსოფლიო ბანკმა, ევროკავშირმა, აშშ-ის მთავრობამ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ინსტიტუტმა, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ) ახალი ტალღის დევნილების საბინაო საკითხების მოსაგვარებლად მილიონობით დოლარი გამოყვეს. ამ ფონზე, ე.წ. ძველი დევნილების კოლექტიური საცხოვრებელი ცენტრების რეაბილიტაციაც გადაწყდა. ევროკავშირმა ამისათვის ჩვენს მთავრობას დაფინანსება (51.5 მილიონი ევრო) გამოუყო, რომელსაც ის „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ გავლით მიიღებდა. ამ თანხის უმეტესი ნაწილი, დაახლოებით 91 მილიონი ლარი მთელი ქვეყნის მას-




შტაბით ძველი კოლექტიური ცენტრების სარემონტო სამუშაოებს მოხმარდა. ამასთან ერთად, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა და მისმა პარტნიორებმა, ევროკავშირის, აშშ-ის მთავრობისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით, იმავე მიზნით 3,2 მილიონი ლარი (1,4 მილიონი ევროს ეკვივალენტური თანხა) დახარჯეს.

ამის შედეგად, 2009 წლის იანვრის შემდეგ, პირველი ტალღის დევნილებისთვის მთლიანობაში 294 შენობა (7653 ბინა) გარემონტდა, აქედან 273 შენობის (7241 ბინის) რეაბილიტაცია „მუნიციპალური განვითარების ფონდმა“ განახორციელა, 21 შენობისა (412 ბინის) კი — გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა და მისმა პარტნიორებმა. სამუშაოების მთლიანმა ღირებულებამ 94.4 მილიონი ლარი შეადგინა, რომლის 95 პროცენტზე მეტის ხარჯვას „მუნიციპალური განვითარების ფონდი“ განაგებდა.

„მუნიციპალური განვითარების ფონდში“ განმარტავენ, რომ ევროკავშირის მიერ საქართველოს მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების პირობების თანახმად, ფონდს თითოეულ კოლექტიურ ცენტრში თითო ოჯახზე 10000 აშშ დოლარზე მეტი თანხა არ უნდა დაეხარჯა.

კვლევისას გამოიკვეთა, რომ „მუნიციპალური განვითარების ფონდმა“, რომელიც მთავრობას დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირია, გადაცემული მილიონები უხარისხოდ ჩატარებულ რემონტში დახარჯა და საბოლოოდ, დევნილები მოტყუებულები დარჩნენ. დევნილების არაერთი საჩივარი არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ ეს სამუშაო უხარისხოდ ჩატარდა.

სარემონტო სამუშაოები ინტერიერის კოსმეტიკური რემონტით შემოიფარგლა და არავინ გაითვალისწინა ისეთი პრობლემები, როგორიცაა ნესტი, ობი და კანალიზაციის სისტემის გაუმართაობა. მაგალითად, კვლევის ორგანიზატორებს ობის პრობლემა დასავლეთ საქართველოში მდებარე დევნილების ბევრ დასახლებაში დახვდა. ლაშა გოგიძის განცხადებით, ამ საკითხის გადაჭრა სადრენაჟო სისტემების დამონტაჟებით იყო შესაძლებელი, მაგრამ ეს არ განხორციელებულა. იგივე ეხება მოძველებულ საკანალიზაციო ინფრასტრუქტურასაც, რომელსაც, როგორც ჩანს, სერიოზული რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია არ განუცდია. ამ ყველაფრის გამო, შენობების სარდაფებში წყალი დგას და გაუსაძლისი პირობებია შექმნილი.

დევნილების თქმით, სამშენებლო მასალები, რომელიც შენობების რეაბილიტაციისას გამოიყენეს, იაფფასიანი და დაბალი ხარისხისა იყო. კერძოდ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ დააფიქსირა შემდეგი პრობლემები: ცუდად შეღებილი და დაბზარული კედლები და ჭერი; არასათანადოდ დაგებული ლამინირებული იატაკი; არასათანადოდ დამონტაჟებული მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯარა და სავენტილაციო სისტემები; არასათანადოდ დამიწებული და ცუდად დაფარული ელექტროსადენები; მოშლილი ონკანები, აბაზანები და პირსაბანები; დაბალი ხარისხის კაფელი, ელექტრომასრები, კარნიზები, პლინტუსები, კარის საკეტები და ჩარჩოები.

მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოს დასრულებიდან მოკლე ხანში კვლავ პრობლემებმა იჩინა თავი, „მუნიციპალური განვითარების ფონდმა“ და სამშენებლო კომპანიებმა, 1-წლიანი პასუხისმგებლობის პერიოდის განმავლობაში, სარემონტო სამუშაოების დეფექტების ეფექტურად გამოსწორება ვერ მოახერხა. ბევრმა დევნილმა დამატებითი სარემონტო სამუშაოები თავად ჩაატარა, თავად გაიღო ხარჯები მაშინ, როცა უცხოური დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლების მხრიდან ასეთი დიდძალი თანხა იყო გამოყოფილი.

## მიხეილ სააკაშვილი: „ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში მსოფლიოს ლიდერებმა ჩამოსვლა დაიწყეს“

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საერთაშორისო მხარდაჭერის გაძლიერებაზე ისაუბრა. „სპეციალური რეპორტაჟისთვის“ მიცემულ ინტერვიუში პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მსოფლიო ლიდერების სტუმრობა საქართველოში.

— ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს მეთაურებმა დაიწყეს ჩამოსვლა. ნიკოლას სარკოზი ჩამოდის ოქტომბრის დასაწყისში, ნატო-ს საბჭო თავისთავად მნიშვნელოვანია, ველოდებით ჩიკაგოს სამიტს, — განაცხადა სააკაშვილმა. მისივე თქმით, რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ აწარმოებს წარმოუდგენელ დიპლომატიურ ომს. პრეზიდენტის განცხადებით, რუსეთი ევროპას პირდაპირ აშანტაჟებდა.

— ევროპაში წყდება ყველაფერი, საქართველოს სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობის საკითხი. ევროპაში გვქონდა უკვე პრობლემები. ამიტომ პოლონელები ჩვენი ევროკავშირის წევრობაში აქტიურები არიან“, — განაცხადა სააკაშვილმა, რომელიც პოლონეთში თვის ბოლოს, — აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტში მიიღებს მონაწილეობას.

**ინტერპრესნიუსი**

## საქართველოს საბანკო სისტემა მდგრად ინსტიტუტად ვერ ჩამოყალიბდა

საქართველოს საბანკო სისტემა ვერ ჩამოყალიბდა მდგრად ინსტიტუტად, რომელსაც ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა შეეძლებოდა, — ამის შესახებ ნათქვამია ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრისა და ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ ერთობლივ ანგარიშში.

— გამართულად ფუნქციონირებადი საბანკო სისტემა უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური განვითარებისთვის. საბანკო სექტორი შედარებით ახალი დარგია ქვეყანაში და, ამიტომაც, მისი განუვითარებლობა სავსებით გასაგები მოვლენაა. სწორედ ამიტომ არის, რომ პირდაპირი უცხოური ინევსტიციების მოზიდვა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ღერძია მაშინ, როდესაც შიდა დანაზოგებისა და კაპიტალის მობილიზების ალტერნატიული საშუალებების გაჩენა უფრო მნიშვნელოვანია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შიდა დანაზოგების დეფიციტის შევსების წყაროდ უნდა განიხილებოდეს და არა ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელ ძალად, — აღნიშნულია ანგარიშში „საქართველოს ეკონომიკის პერსტექტივა. 2011 წლის I ნახევარი“.

აქვე ნათქვამია, რომ ქვეყანაში დანაზოგების სიმცირის პრობლემა ეკონომიკას იმდენად დამოკიდებულს ხდის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე, რომ ვითარება ძალიან არასტაბილურია.

— საბანკო სისტემაში ანაბრებსა და სესხებს შორის ნეგატიური ბალანსია, რაც განსაკუთრებით სახიფათოა, ვინაიდან საშუალო სესხი საშუალო ანაბარს თითქმის 2.5-ჯერ აღემატება. ანაბრების მოცულობა 2011 წლის პირველ კვარტალში გაიზარდა, მაგრამ ეს ზრდა სესხის მოცულობის ზრდასთან შედარებით მოკრძალებულია. მეტიც, ანაბრები ძირითადად მოკლევადიანია, რაც მოსახლეობაში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის, მომავლის არაპროგნოზირებადობის განცდის ამსახველია, — მიაჩნიათ ანგარიშის ავტორებს. მათივე თქმით, ანაბრების სიმცირის გამო, საქართველოს საბანკო სისტემას ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის საკმარისი საკრედიტო რესურსები არ აქვს.

**ინტერპრესნიუსი**

## ინგლისური ენის პედაგოგებმა რთველში მიიღეს მონაწილეობა



ასამდე უცხოელმა პედაგოგმა გუშინ კახეთში, რთველში მიიღეს მონაწილეობა.

პროგრამა „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ მონაწილე ინგლისურის მასწავლებლებმა, რომლებიც საქართველოში აშშ-დან, კანადიდან, ავსტრალიიდან, დიდი ბრიტანეთიდან და ევროპის სხვა ქვეყნებიდან ჩამოვიდნენ, კოლეჯ “აისის“ ბაზაზე არსებულ ვენახში, ყურძენი დაკრიფეს.

რთველის შემდეგ კი, დაკრეფილი ყურძენი საწნახელში თავად დაწურეს.

**მედიანიუსი**

## ევროკოდების დანერგვის საკითხზე შეხვედრა გაიმართება

26-27 სექტემბერს თბილისში ჩატარდება სამუშაო შეხვედრა ევროკოდების დანერგვა საქართველოში . შეხვედრა ორგანიზებულია ევროკომისიის ტექნიკური მხარდაჭერის საინფორმაციო გაცვლითი პროგრამის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ და ხორცილდება ევროკომიიის ერთობლივი კვლევების ცენტრის ტექნიკური მხარდაჭერით. სემინარის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში ევროკოდების წარმატებით დანერგვას.

შეხვედრა გაიხსნება 26 სექტემბერს 09.45 საათზე სასტუმრო ქორთიარდ მარიოტში . სემინარში მონაწილეობას მიიღებენ ევროკომისიის, ასევე საფრანგეთის, ბელგიის, საბერძნეთის და იტალიის სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები და ექსპერტები.

**მედიანიუსი**

## ტუვალუმ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა

რუსეთმა და ტუვალუმ დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ შეთანხმება გააფორმეს.


ვილი ტელავი

როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება, შეთანხმებას ხელი ნიუ-იორკში გაერო-ს გენერალური ასამბლეის 66-ე სესიის მიმდინარეობის პარალელურად მოაწერეს ხელი.

დიპლომატიური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას ხელი მოაწერეს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა და ტუვალუს პრემიერმა ვილი ტელავიმ.

ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ლავროვმა და ტელავიმ ორ ქვეყანას შორის ორმხრივი თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივებზეც ისაუბრეს..

აღსანიშნავია, რომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ ხელშეკრუელბის გაფორმებამდე რამდენიმე დღით ადრე, ტუვალუმ რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების — აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა აღიარა.

ცნობისთვის: ტუვალუს ტერიტორია 26 კვადრატულ კილომეტრს შეადგენს, მოსახლეობა კი, 12 177 ადამიანს არ აღემატება.

**მედიანიუსი**

## სოფელ ჭოპორტთან ავტოავარიის შედეგად 5 ადამიანი დაიღუპა

დუშეთის რაიონის სოფელ ჭოპორტთან ავტოავარიის შედეგად 5 ადამიანი დაიღუპა. ავტოსაგზაო შემთხვევა 24 სექტემბერს, დაახლოებით 23:00 საათზე მოხდა.

დაღუპულებს შორის არის მოკროავტობუსის მძღოლი, ერთი მცირეწლოვანი და ერთი ქალი. ავარიის შედეგად, ასევე, დაშავდა 12 ადამიანი, რომლებიც თბილისის სხვადსხვა საავადმყოფოში გადაიყვანეს.

დარიალის ხეობიდან მომავალი მიკროავტობუსი ხის მორებით დატვირთულ „კამაზის“ მარკის სატვირთო ავტომანქანას შეეჯახა. ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიციის რამდენიმე ეკიპაჟი, ასევე, სახანძრო, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადები და მაშველები.

**ინტერპრესნიუსი**

## ბათუმში სიძულვილის ენის შესახებ სემინარი ჩატარდა

ბათუმში, სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლობამ, ადგილობრივი მედიისა და არასამთავრობო სექტორისთვის თემაზე: „სიძულვილის ენა, სიძულვილის დანაშაული და ქართული რეალობა“ სემინარს უმასპინძლა.

შეხვედრაში მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების 20-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. ტრენინგი ორ ნაწილად ჩატარდა. საუბარი შეეხო სიძულვილის ენისა და სიძულვილის დანაშაულის გამომწვევ მიზეზებს და, ასევე, პრობლემის ირგვლივ ქართული და საერთაშორისო კანონმდებლობის გაცნობას. მონაწილეებმა, აგრეთვე განიხილეს საკითხთან დაკავშირებული ქართული ქეის-მაგალითები, ასევე, შეიმუშავეს რეკომენდაციები სიძულვილის ენის განმარტებასთან დაკავშირებით. მსჯელობა შეეხო საქართველოში სიძულვილის ენის კრიმინალიზაციის საკითხებსაც.

აღნიშნულ პროექტს საქართველოში ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისი, ევროკავშირი და პარტნიორი ქართული უფლებადამცველი ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ ერთობლივად ახორციელებენ, რომლის ფარგლებშიც, ჟურნალისტიკისა და სამართლის სფეროდან სულ 12 ტრენერი შეირჩა. მათ ოთხი დღის განმავლობაში ბელფასტის კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის დირექტორმა ნილ ჯერმანიმ თბილისში სპეციალური კურსი წაუკითხა. თემაზე სემინარი საქართველოს ექვს რეგიონში გაიმართება.

**ინტერპრესნიუსი**

# ყვითელი „მარშრუტკების“ მძღოლებს სერიოზული პრობლემები შეექმნათ

შორენა გონგლაძე


ჯაბა სამუშია

„ქრისტიან-დემოკრატები“ თბილისის მერიისგან კომპანია „თბილისის მიკროავტობუსთან“ დადებული ხელშეკრულების გადახედვას და სამარშუტო ტაქსებზე ტენდერის ხელახალ ჩატარებას ითხოვენ. ამის შესახებ საკრებულოში გამართულ პრესკონფერენციაზე ქრისტიან-დემოკრატმა ჯაბა სამუშიამ განაცხადა.

სამუშიამ „თბილისის მიკროავტობუსი“ შრომითი და სატენდერო პირობების დარღვევაში დაადანაშაულა.

სამუშიას განცხადებით, ახალი მიკროავტობუსების მძღოლები მასობრივად ტოვებენ სამუშაოს, მიზეზი კი კომპანიის მიერ შექმნილი მძიმე მდგომარეობაა. მძღოლები, რომლებმაც სამუშაო მიატოვეს, კომპანია დამატებით გადასახადების გადახდას სთხოვს, როგორც სამუშია ამბობს, მძღოლებმა მანქანის ცვეთისათვის ყოველ ერთ კილომეტრზე 07 თეთრი უნდა გადაიხადონ, რაც თვეში დაახლოებით 400-დან 500 ლარამდეა.

### „ქრისტიან-დემოკრატები“ ტენდერის ხელახლა ჩატარებას ითხოვენ

— მოგეხსენებათ, რომ ტენდერის შესაბამისად გაიმარჯვა ოთხმა ფირმამ, რომლებიც გაერთიანდნენ და ჩამოყალიბდა ერთ ფირმად, ეს არის „თბილისის მიკროავტობუსი“. დღეს შექმნილი ვითარება ნამდვილად კრიტიკას ვერ უძლებს. ჩვენ არაერთხელ გვქონია იმ თემაზე საუბარი იმ რეალობიდან გამომდინარე, რომელიც დღეს არის შექმნილი. საზოგადოება საკმაოდ დაზაფრულია, გამომდინარე იქიდან, რომ მოხდა ფასების ზრდა. ეს არის იმით გამოწვეული, რომ მენეჯმენტი ამ ორგანიზაციაში არ არის სათანადო დონეზე დაყენებული. გარდა იმისა, რომ ფასების ზრდით საზოგადოება მძიმე მდგომარეობაში ჩააყენეს, თვითონ მძღოლებიც არიან კატასტროფულ მდგომარეობაში. საკმაოდ დიდმა ნაწილმა მიატოვა სამსახური, — ამბობს სამუშია.

მისი თქმით, ამის მიზეზი არის იქ არსებული დიდი გადასახადები.

— თავიდან იყო საუბარი იმაზე, რომ ეს ყვითელი მიკროავტობუსები უნდა გადასცემოდათ მძღოლებს შესყიდვით და დაახლოებით შვიდი წლის შემდეგ ეს ავტობუსები იქნებოდა მათ საკუთარებაში. ამ ხელშეკრულებაში ერთი სიტყვაც არაა ნახსენები იმ იჯარა-გამოსყიდვის თაობაზე, რომელიც თავიდან იყო პირობად დადებული. მოგეხსენებათ, რომ მძღოლი იხდის გარკვეულ გადასახადს, ეს არის ყოველდღიურად 42 ლარი, რომელიც შვიდი შლის თავზე შეადგენს დაახლოებით 40 ათას დოლარს. აღმოჩნდა, რომ იმ ადამიანებს, რომლებმაც გაუსაძლისი მდგომარეობის გამო მიატოვეს სამსახური, კომპანიამ კიდევ სხვა გადასახადები დააკისრა. იჯარის თანხას, რაც მათ აქამდე აქვთ გადახდილი, არავინ უბრუნებს, პირიქით, ყოველ გავლილ კილომეტრზე 07 თეთრია დარიცხული და ეს არის ამორტიზაციის ხარჯები, რაც დაახლოებით თვეში შეადგენს 400-500 ლარს, რეალურად მძღოლი, რომელიც ამხელა გადასახადებს უხდიდა კომპანიას, კიდევ ვალდებულია საკუთარი ჯიბიდან გადაუხადოს დამატებითი გადასახადი, იმისათვის, რომ სამსახურიდან უნდა წასვლა, — განაცხადა სამუშიამ.

საკრებულოს წევრის განმარტებით, ამ შემთხვევაში ირღვევა მძღოლების უფლებები, ადამიანის უფლებები და ეს ყველაფერი გამოწვეულია იქიდან, რომ მენეჯმენტი ვერ განხორციელდა თბილისის მიკროავტობუსში.

— გარდა ამისა, მძღოლებმა გვთხოვეს, რომ მათ მიკროავტობუსმა თავის დროზე არ მისცა შესაბამისი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ხარჯვით ნაწილში აეყვანათ თანხები. გამოვიდა, რომ ის ფული, რომელიც დაიხარჯა საწვავისათვის, იმ მძღოლებმა, რომლებმაც სამსახურიდან წასვლა გადაწყვიტეს, მათ ეს თანხა ჩაუთვალეს შემოსავლად და დამატებით 20 პროცენტი დააკისრეს გადასახდელად. ვინც ამ სფეროში მოღვაწეობს, გაცილებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, მათ მოუწიათ ამ კომპანიაში ფულის სახლიდან მიტანა. მე ვფიქრობ, რომ ეს რეალობა კრიტიკას ვერ უძლებს. „ქრისტიან-დემოკრატები“ მოვუწოდებთ მერიას, გადახედოს იმ ხელშეკრულებას, რომელი ხელშეკრულების ძალითაც ოთხ კომპანიას გადაეცა თბილისის მიკროავტობუსების მართვა და დროზე დავიწყოთ ფიქრი ახალი ტენდერის გამოცხადებაზე, ვინაიდან ეს ფირმა, სამწუხაროდ, პრობლემას უქმნის იქ დასაქმებულ ადამიანებს, — აცხადებს სამუშია.



# კვლევა ქართულ ეკონომიკასაც ჩაუტარდება

შორენა გონგლაძე

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა ყოველკვარტალური ანგარიშის — „საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივები“ გამოცემა დაიწყო. ცენტრმა ამ ეტაპზე გამოაქვეყნა საქართველოს „ჯინის“ კოეფიციენტი. ეს არის სტატისტიკური ინდიკატორი, რომელიც ქვეყანაში შემოსავლების უთანაბრობას ასახავს. ამ კოეფიციენტს საქართველოს სტატისტიკური სამსახური არ იყენებს, არადა, ჯინის კოეფიციენტი საზოგადოების შემოსავლებს შორის უთანასწორობის ყველაზე გავრცელებული და ადვილად გასაგები საზომია. ჯინის კოეფიციენტი იზომება 0-დან 100-მდე, ან 0-დან 1-მდე, რაც უფრო ახლოსაა მონაცემები 0-თან, ესე იგი სახეზე გვაქვს მოსახლებაში შემოსავლების თანასწორი გადანაწილება, ხოლო რაც უფრო უახლოვდება 100-ს, ეს იმას ნიშნავს, რომ მდგომარეობა საგანგაშოა.

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი ვლადიმერ უგულავა ამბობს, რომ დღესდღეობით არ არსებობს დამოუკიდებელი ეკონომიკური გამოცემა, რომელიც ექსპერტულად შეაფასებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ამიერიდან ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი ამ პრობლემის მოგვარებაზე იზრუნებს და ყოველკვარტალურ გამოცემაში ასახავენ არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას. მისი თქმით, გამოცემაში ფოკუსი გაკეთებული იქნება ერთ მთავარ თემაზე, რომელიც დეტალურად იქნება მიმოხილული, ამასთან, გაანალიზებული იქნება ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი, მთლიანი ეროვნული შემოსავალი, სამომხმარებლო ფასების ინდექსი, ინფლაცია და უმუშევრობა, საგარეო ვაჭრობა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ქვეყნის ბიუჯეტი, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის განხორციელება, ქვეყნის საბანკო სექტორი და ასევე საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო ეკონომიკის პერსპექტივიდან.

სამწუხაროდ, ხშირად ყურადღების მიღმა რჩება ისეთი მნიშვნელოვანი ინდიკატორები, როგორიცაა, მაგალითად, ეკონომიკური უთანასწორობის ინდიკატორი. ეს ინდიკატორი ქვეყნის ცხოვრების სტანდარტისა და სიღარიბის დონის რეალისტური შეფასებისათვის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. შემოსავლების ზრდის უთანასწორობა წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას საქართველოში ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესებისათვის, ამიტომ ყურადღებას საჭიროებს როგორც ექსპერტების, ასევე სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან. შემოსავლების უთანასწორობის ზრდა საქართველოსთვის დამახასიათებელი ფენომენია. 1970-იანი წლების შემდეგ არსებობს მოსაზრება, რომ უთანასწორობა თავისუფალი ბაზრის თვისებაა და ადამიანის მიერ მიღებული ანაზღაურება მისი შესაძლებლობების, მის მიერ გაწეული რისკისა და შრომის ადეკვატურია. ანუ რაც უფრო მეტს მუშაობს ადამიანი, მით მეტი ანაზღაურება აქვს, ვინაიდან მოქალაქეები შემოსავალს საკუთარი შრომის გაყიდვით ღებულობენ.

თუმცა ამ სისტემის ხარვეზი ის არის, რომ ზოგ ადამიანს, ვინც წარმატებას აღწევს, დიდი თანხა აქვს, ხოლო სხვებს, ვინც წარუმატებლები არიან, პირველადი მოხმარების პროდუქტის ყიდვაც არ შეუძლიათ, ასეთ შემთხვევაში სახეზე გვაქვს საზოგადოება, რომელიც ერთი ჯგუფის მიერ, მეორე ჯგუფის ექსპლუატაციას ემყარება. ეს თავის მხრივ აღვივებს სოციალურ უკმაყოფილებას, ამცირებს ნდობის ხარისხს და იწვევს დანაშაულის ზრდას.

ამ მიმართულების საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის სამსახური ორ ინდიკატორს იყენებს — 60-40 პროცენტზე ნაკლები მედიანური მოხმარების მოსახლეობის წილი და სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა. ოფიციალური სტატისტიკა არ იყენებს ჯინის კოეფიციენტს, რომელიც შემოსავლების გამოთვლის ყველაზე ფართოდ გავრცელებული მეთოდია.

როგორც აღვნიშნეთ, ამ ეტაპზე ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა ყურადღება გაამახვილა ე.წ. ჯინის კოეფიციენტზე, რომელიც საზოგადოების შემოსავლებს შორის უთანასწორობის ყველაზე გავრცელებული საზომია. აღნიშნულ კოეფიციენტს საქართველოს სტატისტიკური სამსახური არ იყენებს. ჯინის დაბალი კოეფიციენტი გადანაწილების მაღალ თანასწორობაზე მიუთითებს.

საინტერესოა, სად დგას საქართველო? ამჟამად საქართველოს ჯინის კოეფიციენტი 40.8-ს უდრის. სურათში უკეთ გასარკვევად ეს კოეფიციენტი სხვა ქვეყნების კოეფიციენტს შევადაროთ. მაგალითად: სკანდინავიის ქვეყნებში ეს ინდიკატორი 25-ია აფრიკის კონტინენტს შედარებით მაღალი ინდიკატორი აქვს, დაახლოებით 70. ჩვენდა გასახარად უნდა ითქვას, რომ მარტო აფრიკის კოეფიციენტით კიდევ სხვა ქვეყნების კოეფიციენტით შეგვიძლია თავის დამშვიდება. მაგალითად, რუსეთის კოეფიციენტი 43.7-ს შეადგენს, რაც, რა თქმა უნდა, რუსეთში უდარდელი ცხოვრების ყვავილობაზე ნამდვილად არ მიუთითებს, ასეთივე მდგომარეობაშია სომხეთიც, რომლის კოეფიციენტი 30.2-ით განისაზღვრა, თურქეთის — 41.2.

**ვლადიმერ უგულავა, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი:**

— პირველ რიგში, მთავარია, რომ ჩვენ ეს გამოცემა დავიწყეთ. ეს იქნება ყოველკვარტალური გამოცემა, სადაც იქნება საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა. ამ შემთხვევაში გვაქვს ნახევარი წლის მიმოხილვა. აქ თავმოყრილი იქნება ის სტატისტიკა, რაც არსებობს, ეს იქნება სტატისტიკის დეპარტამენტი, საერთაშორისო ორგანიზაციები, ეროვნული ბანკი. გვინდა, რომ თითოეულ შემთხვევაში სხვადასხვა კუთხით გავაანალიზოთ ეს მონაცემები. ასევე ყველა ნომერში გვექნება ღრმად გაშლილი ერთი რომელიმე თემა, რომელიც, ჩვენ ვთვლით, რომ იქნება საინტერესო, იქნება ალტერნატიული თვალით დანახული ესა თუ ის პრობლემა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ჯინის კოეფიციენტი გამოთვლილი და ვთვლი, რომ საინტერესო იქნება.

## „ნასას“ ხომალდის ნამსხვრევები ქუთაისში ჩამოვარდა

ქუთაისში, ვარლამიშვილის ქუჩის მოსახლეობა აცხადებს, რომ შაბათს მათთან „ნასას“ ხომალდის ნამსხვრევები ჩამოცვივდა.

მოსახლეობამ შეაგროვა რამდენიმე ლითონის ნამსხვრევი, რომელიც თავდაპირველად ცხელი იყო და ადგილი, სადაც ისინი დაეცა, ამომწვარია კიდეც. ადგილობრივებმა ამის შესახებ გარემოს დაცვის სამინისტროს უკვე აცნობეს.

ქართველი სპეციალისტები „ნასას“ ხომალდის ნამსხვრევების საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოვარდნას არ ადასტურებენ და აცხადებენ, რომ შესაძლოა ეს იყოს რომელიმე მცირე ზომის საფრენი აპარატის ნაწილები, რომელმაც კატასტროფა განიცადა.

„ნასა“-მ ამერიკული თანამგზავრის დედამიწაზე ჩამოვარდნის ფაქტი გუშინ დაადასტურა. „ნასას“ ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, თანამგზავრი, სავარაუდოდ, კანადის ტერიტორიაზე ჩამოვარდა, თუმცა, ჩამოვარდნის ზუსტი კოორდინატები ჯერ ზუსტდება.

თანამგზავრი ატმოსფეროში წყნარი ოკეანის თავზე, გრინვიჩის დროით, 03.45 და 04.45 საათებს შორის უნდა გამოჩენილიყო. თანამგზავრი 6,5 ტონას იწონიდა. ის ორბიტაზე 1991 წლიდან, 14 წლის განმავლობაში მუშაობდა. აპარატი 2005 წელს ექსპლუატაციიდან ამოიღეს და მძინარე რეჟიმზე გადაიყვანეს.

„ნასა“-ს მონაცემებით, აპარატი ატმოსფეროში მთლიანად არ უნდა დამწვარიყო. დაახლოებით 26 ფრაგმენტს, რომელთა მასა 500 კილოგრამამდეა, დედამიწამდე უნდა მოეღწია. თანამგზავრის მისიის ღირებულება 759 მილიონი დოლარია.

მძინარე რეჟიმზე გადაყვანის შემდეგ, თანამგზავრი უცნობ ობიექტს, სავარაუდოდ, საბჭოთა დორინდელ თანამგზავრს შეეჯახა, რის გამოც მწყობრიდან გამოვიდა და ვარდნა დაიწყო.

**ინტერპრესნიუსი**

## გიორგი ჯავახიშვილი: „ნასას“ ხომალდის ნამსხვრევებს საქართველომდე არ მოუღწევია

„ნასას“ ხომალდის ნამსხვრევებს საქართველომდე არ მოუღწევია, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ აბასთუმნის ობსერვატორიის ასტრონომმა, ილიას უნივერსიტეტის პროფესორმა გიორგი ჯავახიშვილმა განუცხადა. მისი თქმით, ხომალდი კანადის თავზე ჩამოვარდა და ნამსხვრევებიც, შესაბამისად, კანადის ტერიტორიაზე გაიფანტა. „ამ ნამსხვრევებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ტრასაც არ გადიოდა ჩვენზე, ამიტომ ნამსხვრევები ჩვენთან ვერანაირად ჩამოცვივდებოდა“, - აღნიშნა გიორგი ჯავახიშვილმა და დასძინა, რომ ეს შესაძლოა, მცირე ზომის თვითმფრინავის ნამსხვრევებია. ქუთაისში, ვარლამიშვილის ქუჩის მოსახლეობა აცხადებს, რომ გუშინ მათთან „ნასას“ ხომალდის ნამსხვრევები ჩამოცვივდა. მოსახლეობამ შეაგროვა რამდენიმე ლითონის ნამსხვრევი, რომელიც თავდაპირველად ცხელი იყო და ადგილი, სადაც ისინი დაეცა, ამომწვარია კიდეც. ადგილობრივებმა ამის შესახებ გარემოს დაცვის სამინისტროსაც აცნობეს. „ნასა“-მ ამერიკული თანამგზავრის დედამიწაზე ჩამოვარდნის ფაქტი გუშინ დაადასტურა. თანამგზავრი 6,5 ტონას იწონიდა. ის ორბიტაზე 1991 წლიდან, 14 წლის განმავლობაში მუშაობდა. აპარატი 2005 წელს ექსპლუატაციიდან ამოიღეს და მძინარე რეჟიმზე გადაიყვანეს.



„ნასა“-ს მონაცემებით, აპარატი ატმოსფეროში მთლიანად არ უნდა დამწვარიყო. დაახლოებით 26 ფრაგმენტს, რომელთა მასა 500 კილოგრამამდეა, დედამიწამდე უნდა მოეღწია. თანამგზავრის მისიის ღირებულება 759 მილიონი დოლარია. მძინარე რეჟიმზე გადაყვანის შემდეგ, აპარატი უცნობ ობიექტს, სავარაუდოდ, საბჭოთა დროინდელ თანამგზავრს შეეჯახა, რის გამოც მწყობრიდან გამოვიდა და ვარდნა დაიწყო.

**ინტერპრესნიუსი**

# რა სირთულეები ელოდება ანქვაბს

## შამბა და ხაჯიმბა მის წინააღმდეგ გაერთიანდებიან

თეა მარხვაიძე

**დღეს აფხაზეთში დიდი დღეა. დღეს აფხაზთა პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი ფიცს დადებს ღვთისა და ერის წინაშე. აფხაზური მედიის ცნობით, ანქვაბის თხოვნით ინაუგურაცია მოკრძალებულად ჩატარდება.**



ალექსანდრე ანქვაბი

არჩევნების მოგების მიუხედავად, ანქვაბს საქმე საზეიმოდ არა აქვს. მისი გაპრეზიდენტობიდან ერთ თვეში აფხაზეთში რამდენიმე ხმაურიანი აფეთქება მოხდა. რამდენიმე დღის წინ საკუთარ მანქანაში ააფეთქეს ყაბარდოელი ბიზნესმენი. რომელიც საომარი მოქმედებების დროს აფხაზების მხარეს იბრძოდა. გუშინ კი სოხუმში, კოლონიას ქუჩაზე მორიგი აფეთქება მოხდა. ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა „ჯიპის“ მარკის ავტომობილი ააფეთქეს. წინა ინციდენტიდან განსხვავებით ეს შემთვევა მსხვერპლის გარეშე დასრულდა.

26 აგვისტოს, ანქვაბის არჩევის დღეს, დაუდგენელმა პირებმა მოსკოვში მცხოვრები 25 წლის ალექსანდრე არშბა. ალექსანდრე არშბა აფხაზეთში ცნობილი ბიზნესმენის ბესლან აგრბას ახლო ნათესავია. რამდენიმე დღის წინ ის გაათავისუფლეს. თუმცა ჯერჯერობით ცნობილი არ არის გამტაცებელთა ვინაობა და გატაცების მიზეზები ჯერ უცნობია.

ამავე პერიოდში დაცხრილეს ვეტერანთა ორგანიზაცია „ამცახარას“ ოფისი. საპრეზიდენტო არჩევნებში ისინი ანქვაბს უჭერდნენ მხარს.

ქართველი ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ ეს ინციდენტები ანქვაბის წინააღმდეგ არის მიმართული. ყველას მოეხსენება, რომ ანქვაბი წესრიგის მოყვარული კაცია. ის კორუმპირებულ ჩინოვნიკებთანაც აქტიური ბრძოლის დაწყებას აპირებს. თბილისში და მოსკოვში ფიქრობენ, რომ ანქვაბისთვის პრეზიდენტობა რთული იქნება.

ანქვაბს იოლ გზას არც „ექსპერტთა კლუბის“ პრეზიდენტი ლევან კიკნაძე უწინასწარმეტყველებს. ქართველი ექსპერტის შეფასებით, ანქვაბმა საპრეზიდენტო არჩევნები უპირატესობით იმიტომ მოიგო, რომ ის კრიმინალებთან მებრძოლად მიიჩნევა. აფხაზები კი კრიმინალთა თარეშმა ძალიან შეაწუხა. აფხაზი ამომრჩევლებისგან განსხვავებით სულ სხვა მოლოდინი აქვს კიკნაძეს. მას ნაკლებად სჯერა, რომ ანქვაბი კრიმინალებს ააწიოკებს.

— დროთა განმავლობაში აუცილებლად იჩენს თავს ის წინააღმდეგობები, მათ შორის გადაულახავიც კი, რომლებთანაც შეჯახება აუცილებლად მოუწევს ანქვაბს. ისიც ნურავის დაავიწყდება, რომ 7 წელიწადია ბაღაფშთან ერთად ტანდემში მოსული ანქვაბი, ფაქტიურად მეორე პირი იყო და კრიმინალური კლანების წინააღმდეგ ბრძოლისთვის გავლენა და შესაძლებლობაც საკმაოდ დიდი ჰქონდა. ბაღაფშიც უეჭველია განზე არ იდგა და მხარსაც უჭერდა, აფხაზეთში ყველაზე დიდი პრობლემის, კრიმინალური სიტუაციის გამოსწორებისთვის ანქვაბის მიერ გატარებულ ღონისძიებებს. ანქვაბზე განხორციელებული 5 ტერაქტი იმაზე მიანიშნებს, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ანქვაბი გულხელდაკრეფილი არ მჯდარა და შესაძლებლობების ფარგლებში ეწეოდა კრიმინალებთან ბრძოლას. სხვა ბევრ პრობლემასთან ერთად, შედეგი ამ საკითხშიც რომ არ ჩანდა, ეს ცხადზე უცხადესია. ისიც ბევრის მანიშნებელია, რომ ანქვაბს უკვე აგრძნობინა კრიმინალურმა სამყარომ, რომ დათმობას არ აპირებს. ყოველ შემთხვევაში დღეისათვის ასეა, რაზეც ბიზნესმენის შვილის გატაცებით, კიდევ ერთხელ მიუთითეს ანქვაბს „დაუკრეფავში“ გადასვლის საშიშროებაზე, — მიიჩნევს „ექსპერტთა კლუბის“ პრეზიდენტი ლევან კიკნაძე.

მისი თქმით, ანქვაბმა ყველაზე უკეთესად იცის, ორგანიზაციულადაც რამდენად რთულია, კარგად ჩამოყალიბებულ, წლობით გამოჯეკილ, ყველა ნიუანსებში გარკვეულ კრიმინალურ კლანებთან ბრძოლა.

— ეს კრიმინალები გავლენის ბერკეტებს თითქმის ყველა სფეროში ფლობენ და ადვილად არდათმობენ. სტანისლავ ლაკობასი არ იყოს: „აქ ხომ დანაშაულობათა უმრავლესობა გაუხსნელია, თითქმის 90%. ეს იმაზე მეტყველებს, რომ არ მიმდინარეობს ნორმალური ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა, არ გვყავს ოპერატიული თანამშრომლები. ისინი კი ვინც საქმიანობას იმიტირებენ, მიწერებით არიან დაკავებული“, —



ლევან კიკნაძე

ამბობს კიკნაძე.

ქართველი ექსპერტი არ გამორიცხავს, რომ ახლო მომავალში ახლადდაფიცებულ პრეზიდენტს პრობლემები შეექმნას.

— კრიმინალური კლანები, რომელთა აფხაზეთში ცოტანი არ არიან და თავიანთ დასაკლავ დანას, ანქვაბს ხელში არ მიცემდნენ. აქედან გამომდინარე, ანქვაბის მხარდამჭერთა სიაში მათ ვერაფრით ვერ შევიყვანთ. უფრო მეტიც, „ჭანჭიკების“ ზედმეტი გადაჭერით ანქვაბს საფრთხე შესაძლებელია ისევ დაემუქროს, რადგანაც ასეთი კატეგორიის ადამიანები, როგორც ცნობილია ადვილად მოსასყიდი და შიდა არეულობასა და დაპირისპირებებში ადვილად გამოსაყენებელნი არიან, — მიაჩნია ლევან კიკნაძეს.

მისი განმარტებით, ანქვაბს კრიმინალებზე დიდ პრობლემებს „აიდგილარა“ შეუქმნის. არადა ამ ორგანიზაციის წევრებმა არჩევნების წინ მას ღიად დაუჭირეს მხარი.

— მართალია აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთმა მთავარმა იდეოლოგმა, სტანისლავ ლაკობამ ოლეგ დამენიას, სოკრატ ჯინჯოლიას და სხვა გამორჩეულ სეპარატისტ ლიდერებთან ერთად ანქვაბს დაუჭირეს მხარი. ფაქტია, რომ მათთვის პიროვნულად გახდა მიუღებელი პოლიტიკური ბრძოლის ის მეთოდები, რასაც შამბას შტაბმა მიმართა და ამიტომ გადაწყვიტეს, როგორც ლაკობა აცხადებს, დესტაბილიზაციის თავიდან ასაცილებლად ანქვაბისთვის დაეჭირათ მხარი, თორემ დარწმუნებულები ვართ შამბა, თავისი დამოკიდებულებით, საქართველოსთან და თუნდაც რუსეთთან მიმართებაში, არაფრით მათ იდეოლოგიასთან წინააღმდეგობაში არ მოდის. მათ ძალიან კარგად უნდა ახსოვდეთ „აიდგილარას“ და მისი ყოფილი ხელმძღვანელის, სერგეი შამბას, არძინბას ერთგული თანამებრძოლის უდიდესი როლი „ქართველი აგრესორების“ წინააღმდეგ მიმართულ ყველა ღონისძიებებში, რომელთა გვირგვინი შეიარაღებული დაპირისპირება იყო. მათგან განსხვავებით, სეპარატისტული იდეოლოგიით გაჟღენთილმა აფხაზი საზოგადოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა, რომლისთვისაც შეიძლება მიუღებელიც იყო წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისას, შამბას მიერ გამოყენებული შავი პიარი ანქვაბის წინააღმდეგ, მაინც გადაწყვიტა აფხაზეთის მომავალი, სამ კანდიდატს შორის, ყველაზე დამსახურებული სეპარატისტისთვის შამბასთვის ენდო. ჯერ კიდევ ცოცხალმა, რადიკალური სეპარატიზმის იდეოლოგიის მამამთავრებმა მშვენივრად იციან ქართულ-აფხაზური დაპირისპირების ყურით მოთრეული მიზეზები და სისხლიანი კონფლიქტის რეალური მიზნები. ისინი და მათი მიმდევრები თუმცა საკითხს, რომ ქართველები ველარასოდეს ვერ დაბრუნდებიან აფხაზეთში გადაწყვეტილად მიიჩნევენ, მაგრამ მაინც აშფოთებთ ანქვაბის მხრიდან შესაძლო კონსტრუქციული მიდგომა ამ პრობლემისადმი, — მიაჩნია ლევან კიკნაძეს.

კიკნაძის განმარტებით, „აიდგილარასთვის“ ცნობილია, რომ ქართველებთან მოლაპარაკებები რუსეთის გარეშე, ბევრ მოუგვარებელ საკითხს გადაწყვეტდა. მისი თქმით, სწორედ ამის გამო არ უნდათ ქართველებთან საერთო ენის გამონახვა.

— შამბას ბიოგრაფია და გავლილი ცხოვრებისეული გზა, შესაძლებელია გარკვეულ იმედებს უნერგავს საზოგადოების ამ ნაწილს და მისი სახით წარმოუდგენიათ ლიდერი, რომელიც, ქართველებთან დამოკიდებულებაში არა თუ შეცვლის არძინბას მიერ არჩეულ კურსს, თუ საჭირო გახდა „ეროვნულ“ მოძრაობას ახალ სულს შთაბერავს. თვით შამბამ თავის წინასაარჩევნო კამპანიაში შეახსენა საზოგადოებას, რომ „თავის ცხოვრებაში ბრძოლებიც ბევრი გადაუტანია და რევოლუციებიც ბევრი მოუწყვია. იყო სახალხო ფორუმის „აიდგილარას“ ლიდერი. იყო სახალხო წინააღმდეგობის ორგანიზატორი 19923-93წწ ომში. ომის დაწყებამდე, ემზადებოდნენ მისთვის იატაკქვეშ, ქმნიდნენ წინააღმდეგობის რაზმებს“. როგორც აღმოჩნდა, აფხაზური საზოგადოების ამ ნაწილზე თავისი გავლენა იქონია შამბას ამ წინასაარჩევნო განცხადებებმა, ეტყობა ირწმუნეს მისი და დაუჭირეს მხარი, — მიაჩნია ქართველ ექსპერტს.

ლევან კიკნაძის შეფასებით, ანქვაბს პრობლემს რაულ ხაჯიმბას ხალხიც შეუქმნის. აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში კიკნაძე და ხაჯიმბა ერთად მუშაობდნენ. ქართველი ექსპერტი საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხებულ კაცს კარგად იცნობს. შესაბამისად მის ძალიან პრორუსულობაშიც ეპარება ეჭვი.

— არასწორად მიმაჩნია ზოგიერთი ექსპერტის მიერ ხაჯიმბას თავგადაკლულ პრორუსულად მოხსენიება. ხაჯიმბა რომ ფსბ-ს გენერალია მას, როგორც რუსეთის სპეცსამსახურის ოფიცერს, ბევრს ავალდებულებს, მაგრამ ამის გამო მას არასოდეს თავისი პრინციპებისთვის არ უღალატია, რადგანაც მისთვის ძირითადი განმსაზღვრელი ყოველთვის თავისი ხალხის კეთილდღეობა იყო და დარწმუნებულია, რომ მას ბრძოლის მისეული გზა სწორად აქვს არჩეული,— ამბობს კიკნაძე.

ქართველი ექსპერტის განმარტებით, ხაჯიმბას ამგვარ დამოკიდებულებას სათანადოდ აფასებს და იზიარებს აფხაზი ხალხის ანგარიშგასაწევი ნაწილი და უკვე მესამე არჩევნებია, მყარად უჭერს მხარს თავის რჩეულს.

— თუ მომავალში ანქვაბის მიერ გატარებული პოლიტიკა, აფხაზი საზოგადოების ნაწილისთვის მიუღებელი აღმოჩნდება, არც ის არის გამორიცხული, რომ შამბამ და ხაჯიმბამ გააერთიანონ თავიანთი მხარდამჭერები, რომლებსაც დაემატებათ თანამდებობას ჩამოშორებული სხვადასხვა კლანების წარმომადგენლები და ერთიანი ფრონტით შეუტიონ ანქვაბს. იმ ურთულეს ვითარებაში, როდესაც ხაჯიმბას განცხადებისა არ იყოს „აფსნი, თავის სუვერენიტეტს კარგავს, იხლიჩება პოლიტიკური, რელიგიური და ნაციონალური მოტივებით, სულ უფრო ეცემა სულიერად, რადგანაც დაუცველია დამნაშავეობათა წინაშე, იმის გაუცნობიერებლად, თუ რა და რაც მთავარია როგორ გვინდა ავაშენოთ“, იმ დროს, როდესაც, მისივე თქმისა არ იყოს „ამოცანების სირთულე, წნეხის ძალა არის ხოლმე ისეთი, რომ სწორი გადაწყვეტილების მიღება მთელი საზოგადოების, მთელი ხალხის ინტერესების გათვალისწინებით სულ უფრო და უფრო ძნელი ხდება“, — ამბობს ლევან კიკნაძე.

მისი თქმით, ანქვაბს წინ დიდი გამოცდა ელის, რომელთა გადაჭრა მხოლოდ პრეზიდენტის სურვილზე და მონდომებაზე არ იქნება დამოკიდებული.

## 26 სექტემბერი კონტრაცეფციის მსოფლიო დღეა

26 სექტემბერს სამედიცინო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე კონტრაცეფციის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიები ჩატარდება.

როგორც „ინტერპრსნიუსს“ ასოციაციიდან „ჰერა XXI“ აცნობეს, მსოფლიო კონტრაცეფციის დღე გლობალური კამპანიაა, რომლის მთავარი მისიაა, ყველა ორსულობა იყოს სასურველი.

აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით, სამედიცინო უნივერსიტეტში კონტრაცეფციის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი თემატური ფოტო გამოფენა და შეხვედრა მოეწყობა. ღონისძიების მთავარი გზავნილია: „რჩევანი შენი უფლებაა!“

ღონისძიებაში ასევე მონაწილეობენ ორგანიზაციები: „თანადგომა“ და „საქართველოს ბებიაქალების ასოციაცია“. კონტრაცეფციის მსოფლიო დღე 2007 წლიდან, ყოველ 26 სექტემბერს აღინიშნება.

ინტერპრესნიუსი

## სატვირთო ავტომანქანა გაზგასამართი სადგურის ბილბორდს შეეჯახა

გორგასლის გამზირზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. სატვირთო ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და გაზგასამართი სადგურის ბილბორდს შეეჯახა.

შეჯახების შედეგად ავტომანქანის კაბინამ დეფორმაცია განიცადა, რის გამოც მაშველებს მძღოლის ავტომანქანიდან გამოყვანა გაუჭირდათ.

მძღოლი კიდურის მოტეხილობებით და გარეგანი დაზიანებებით სასწრაფო დახმარებამ მეხუთე რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანა. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ინტერპრესნიუსი

## ქართული კინოს ენციკლოპედიაზე მუშაობა დასრულებულია

ეკა ირემაშვილი

26 სექტემბერს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში „ქართული კინო. ენციკლოპედიური ლექსიკონის“ პრეზენტაცია გაიმართება. კომპანია „დამოუკიდებელი კინოპროექტის“ პროექტი „ქართული კინო. ენციკლოპედიური ლექსიკონი“ პირველი ბიოგრაფიული საცნობარო გამოცემაა, რომელშიც სახელებით წარმოდგენილია ქართული კინოს ისტორია საქართველოში მისი შემოსვლიდან დღემდე (2011 წლის მონაცემების ჩათვლით).

ლექსიკონში თავმოყრილია ბიოგრაფიულ-ფილმოგრაფიული ხასიათის ცნობები სხვადასხვა დროს ქართულ მხატვრულ, დოკუმენტურ, სამეცნიერო-პოპულარულ და ანიმაციურ კინოში მოღვაწე ძირითადი შემოქმედებითი პროფესიების წარმომადგენლების — რეჟისორების, სცენარისტების, მსახიობების, ოპერატორების, მხატვრების, კომპოზიტორების, აგრეთვე ხმის ოპერატორების, პროდიუსერების, კინოს ისტორიკოსების, თეორეტიკოსებისა და კინოკრიტიკოსების შესახებ (სულ — 1000-მდე ბიოგრაფია).

წიგნის სტრუქტურა მოიცავს შესავალს. ეს არის მოკლე ნარკვევი ქართული კინოს ისტორიის შესახებ. ძირითადი კომპლექსი ბიოგრაფიული ლექსიკონია. ანბანური რიგით დალაგებული მასალები მოცულობითა და ხასიათით ორი ჯგუფისაა — შედარებით ვრცელი შემოქმედებით-ბიოგრაფიული ხასიათის სტატიები სრული ფილმოგრაფიით და ფაქტობრივი მასალის შემცველი ბიოგრაფიულ-ფილმოგრაფიული ცნობები. ზოგიერთ სტატიას ახლავს ბიბლიოგრაფია (თხზულებები და ლიტერატურა). ენციკლოპედიას ერთვის დანართიც, რომელიც აერთიანებს საერთაშორისო ფესტივალების პრიზებითა და პროფესიული პრემიებით აღნიშნული ქართული ფილმების ნუსხას, ფაქტოგრაფიულ მონაცემებს საქართველოს ძირითადი სახელმწიფო და საზოგადოებრივი კინოორგანიზაციების, კინოსტუდიებისა და კომპანიების, საქართველოში სხვადასხვა დროს ჩატარებული და დღეს არსებული საერთაშორისო კინოფესტივალების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და კინოსასწავლებლების, აგრეთვე იმ არქივებისა და მუზეუმების შესახებ, სადაც დაცულია ქართული კინოკულტურის ძეგლები და სხვადასხვა სახის დოკუმენტები.

ენციკლოპედიაშია ტექსტში მოხსენიებული ფილმების ანბანური საძიებელი, სახელთა საძიებელი პროფესიების მიხედვით, ძირითადი შემოკლებებისა და აბრევიატურების სია, ძირითადი ლიტერატურა ქართული კინოს შესახებ.

წიგნი ილუსტრირებულია შავთეთრი და ფერადი კადრებით ფილმებიდან, დეკორაციებისა და

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# გოგა მესხი: ნუ დამემდურებით!

ეკა ირემაშვილი

**„ვარსკვლავების აკადემიის“ წევრმა და ევროპული ემტივის რჩეულმა ქართველმა მომღერალმა გოგა მესხმა საზოგადოებას თავისი პირველი კლიპი წარუდგინა. კინოთეატრ „ამირანში“ შეკრებილმა საზოგადოებამ დადებითად შეაფასა ახალგაზრდა მომღერლის პირველი ვიდეორგოლი, რომელშიც მასთან ერთად მხოლოდ ერთი მონაწილეა — მოდელი თამუნა გაბრიელაშვილი.**



სიმღერა არშეუმდგარი სიყვარულის ისტორიაზეა და მას „ნუ დამემდურები“ ჰქვია. კლიპი რეჟისორმა დაჩი დარჩიამ გადაიღო, სიმღერა ზურა მენთეშაშვილმა დაწერა, ტექსტი ვასილ ბესელიას ეკუთვნის, ხოლო სიმღერა მომღერალმა პაატა ფაცურიას სტუდიაში ჩაწერა.

ქართულენოვანი სიმღერა გაუმართლებელ, მიტოვებულ სიმღერაზეა, ამიტომ კლიპზე მომუშავე შემოქმედებითმა ჯგუფმა კლიპი მიტოვებული სახლის ნანგრევებში გადაიღო, სადაც ყველა ნივთი ჰაერშია გამოკიდებული. კლიპი გოგა მესხმა ერთ დღეში გადაიღო და ამისთვის თბილისიდან გასვლა სულაც არ დასჭირვებია. მოდელსა და მეგობარ თამუნა გაბრიელაშვილთან მუშაობა გოგას სულაც არ გასჭირვებია. დიდი სიამოვნება მიიღო შემოქმედებით ხუგფთან მუშაობითაც, ამიტომ მეორე კლიპის გადაღებასაც, რომელიც უახლოეს დღეებში დაიწყება, ისევ იმ კოლექტივთან ერთად აპირებს, რომელმაც პირველი კლიპი შეუქმნა.

კლიპი ნახვის შემდეგ იყო ტრადიციული მილოცვები და ნამუშევრის შეფასებები, რაც ჰიპერმარკეტ „გუდვილის“ საჩუქარმა — ტორტმა დააგვირგვინა.

პირველი კლიპის გადაღებისა და არაერთი საერთაშორისო ფესტივალისა თუ კონკურსის მოვლის პარალელურად, გოგა მესხი და მისი განუყრელი მეგობრები კვლავაც აპირებენ, აღადგინონ ჯგუფი „ვივო“. მასში სამი ცნობილი მომღერალი — გოგა მესხი, გიორგი სუხიტაშვილი და დათუნა მგელაძე არიან გაერთიანებული. მათი ჯგუფი 2003 წელს ჩამოყალიბდა, თუმცა, დათუნა მგელაძის ავარიაში მოყოლის გამო, მათი მოღვაწეობა ველარ გაგრძელდა. მომღერლებმა შემოქმედებითი კარიერის გაგრძელება დამოუკიდებლად გადაწყვიტეს — გიორგი სუხიტაშვილი „ჯეოსტარზე“ გავიდა და გაიმარჯვა კიდეც, გოგა მესხმა საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა „ვარსკვლავების აკადემიაში“ გადაწყვიტა, დათუნა მგელაძე კი მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ „ჯეოსტარში“ ჩაერთო.

ჯგუფი „ვივო“ ევროვიზიის შიდაშესარჩევი კასტინგისთვის ისევ გაერთიანდა, თუმცა ჟიურიმ არჩევანი დიანა ღურწკაიაზე შეაჩერა. „ვივოს“ ხელმძღვანელი და პროდიუსერი ზაზა წურწუმიაა. ამჟამად ჯგუფის წევრები დათუნა მგელაძის ჩამოსვლას ელოდებიან, რომელიც ერევანში იმყოფება. სამივე მომღერლის შეკრების შემდეგ კი ისინი კვლავაც აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას დაუბრუნდებიან.

**გოგა მესხი, მომღერალი:**

— ეს ჩემი პირველი კლიპია. „ნუ დამემდურები“ — ასე ჰქვია სიმღერას, რომელზეც რეჟისორმა დაჩი დარჩიამ კლიპი გადაიღო. სიმღერა ქართულენოვანია.

— *ვის ეკუთვნის სიმღერა?*

— სიმღერა ზურა მენთეშაშვილმა დაწერა, ტექსტი ვასილ ბესელიასია. სიმღერა პაატა ფაცურიას ხმის ჩამწერ სტუდიაში ჩაიწერა.

— *რატომ დაარქვით ასე სიმღერას, ვინმე გემდურით?*

— კი, არიან ისეთებიც, ვინც მემდურება.

— *თქვენს პირველ კლიპს ტელევიზიებში დაატრიალებთ?*

— კი. კლიპი პირველად „რუსთავი ორის“ დილის ეთერში გავა და შემდეგ უკვე მიუზიქ ბოქსზე და სტერეოზეც მივიტან. სულ ორი მუსიკალური არხი გვაქვს და ორივეგან მივიტან. ეს სიმღერა ქართული მუსიკალური ბაზრისთვის შეიქმნა. მის უცხოეთში გატანას აზრი არ აქვს. ქართულენოვანი სიმღერა უცხოეთს რომ ვაჩვენო, რა უნდა გაიგონ?

— *თქვენ გარდა, ვინ არის კლიპში გადაღებული?*

— მხოლოდ მოდელი თამუნა გაბრიელაშვილი.

— *სად მიმდინარეობდა გადაღებები?*

— კლიპი თბილისში გადავიღეთ, მშენებარე კორპუსში.

— *კიდევ აპირებთ კლიპის გადაღებას?*

— რა თქმა უნდა. მალე დავიწყებ მეორე ვიდეორგოლზე მუშაობას.

— *შემოქმედებითი ჯგუფი იგივე იქნება?*

— დიახ, შემოქმედებითი ჯგუფი იგივე იქნება. მომეწონა მათთან მუშაობა, მაგარია ძალიან, ამიტომ მათ შეცვლას არ ვაპირებ.

— *გოგა, საერთაშორისო ფესტივალებზე ისევ წახვალთ?*

— არა, არსად აღარ ვაპირებ წასვლას. დავიღალე.

— *ახალ სიმღერებს თუ ჩაწერთ?*

— კი, თბილისში ჩავწერ ყველაფერს. მინდა აქ ვიყო. იმდენად მსიამოვნებს სიმღერების ჩაწერის პროცესი, ამისგან არასოდეს დავიღლები. აი, უცხოეთში მგზავრობამ და ფესტივალებში მონაწილეობამ კი ცოტა არ იყოს დამღალა. ახლა დასვენების მეტი არაფერი მინდა.

— *ჯგუფი „ვივო“ როდის აღდგება?*

— ძალიან მალე, ამაზე მუშაობა უკვე დაწყებული გვაქვს. „ვივოში“ ვიქნებით მე, გიორგი სუხიტაშვილი და დათუნა მგელაძე. ახლა დათუნას ჩამოსვლას ველოდებით, რომელიც ერევანშია.

# ახმეტელის თეატრი იუბილარია

ეკა ირემაშვილი

სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრი წელს იუბილარია. მისი დაარსებიდან 30 წელი გავიდა. ამიტომაც წლევანდელი თეატრალური სეზონი ყველასგან გამორჩეული და უჩვეულო იქნება. ახმეტელის თეატრი საიუბილეო 30-ე თეატრალურ სეზონს პრემიერით გახსნის. საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით თეატრის მმართველი თამაზ გოლაძე არაერთი სიახლის შეთავაზებას აპირებს ხელოვნების მოყვარული საზოგადოებისთვის.

ახალ წლამდე თეატრს არაერთი სპექტაკლის პრემიერა აქვს დაგეგმილი. უკვე მიმდინარეობს მუშაობა შადიმან შამანაძის „ღია შუშაბანდზე“, ნიკოლო მაკიაველის „მანდრაგორაზე“ და ვაჟა-ფშაველაზე. დეკემბერში კი თეატრი ერთ სპექტაკლს ბავშვებისთვის დადგამს, მეორეს კი — უფროსი თაობის მაყურებლისთვის.

ნოემბერში ახმეტელის თეატრის 30 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კვირეული დაიწყება, რომელიც სხვადასხვა საინტერესო ღონისძიებით იქნება დატვირთული. იუბილეს ფარგლებში მოეწყობა ცნობილი თეატრის მხატვრის აივენგო ჭელიძის ნამუშევრების გამოფენა, გაიხსნება თეატრის მუზეუმი.

ახმეტელის თეატრის საიუბილეო ღონისძიებას რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი დგამს. სწორედ დიმიტრი ხვთისიაშვილის მიერ დადგმული სპექტაკლით „ღია შუშაბანდით“ ახმეტელის თეატრში გაიხსნება საიუბილეო თეატრალური სეზონი.

**თამაზ გოლაძე, ახმეტელის თეატრის მმართველი:**

— 29 სექტემბერს თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ქართული თეატრების პროგრამას ხსნის. პირველი მერცხლები ამ პროგრამაში ჩვენ ვართ და ფესტივალის ფარგლებში ვითამაშებთ სპექტაკლს „ჭურში“. პირველ ოქტომბერს 12 საათზე ფესტივალისთვის ვაჩვენებთ პრემიერას, შადიმან შამანაძის „ღია შუშაბანდს“, პირველ და ორ ოქტომბერს საღამოს კი უკვე ჩვეულებრივ „ღია შუშაბანდის“ საპრემიერო ჩვენება მაყურებლისთვის გვექნება. სპექტაკლის რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილია.

— *წელს რამდენ პრემიერას გეგმავთ?*

— პირველ და ორ ოქტომბერს „ღია შუშაბანდის“ პრემიერებია. ჩვენ გვინდა ვიყოჩაღოთ და 20 ოქტომბრისთვის კიდევ ერთი პრემიერა ვითამაშოთ. ამის შემდეგ უკვე იწყება აქტიური მზადება ახმეტელის თეატრის 30 წლის იუბილესთვის. მართალია, ამ მნიშვნელოვანი თარიღისთვის მზადება დიდი ხანია დავიწყეთ, მაგრამ ახლა უკვე გადავალთ იმ პერიოდში, რომელსაც დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდებით და ეს არის თეატრის დაარსების 30 წლის იუბილე. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და განვაცხადო, რომ თუკი ვინმეს სურს, შეუძლია საინტერესო წინადადებებით მოგვმართოს, ჩვენ მათ მოსასმენად მზად ვართ. მინდა, ქართველ ბიზნესმენებსაც შევეხმიანო და იქნებ მათაც მიიღონ მონაწილეობა ახმეტელის თეატრის საიუბილეო პროგრამაში.

— *როგორია თქვენი თეატრის საიუბილეო პროგრამა?*

— ჩვენთვის ძალიან საინტერესოა ის ფაქტი, რომ წელს თეატრის 30 წლის იუბილეა. გვინდა, ეს იუბილე იყოს ძალიან კარგი, თბილი, აკადემიური. ამით გვინდა ვაჩვენოთ საზოგადოებას, რომ დიახ, ახმეტელის თეატრი

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

● ვყიდი 3.5-ოთახიან ბინას კაზინო ევროპის ცინ, კოსტავას ქუჩაზე. ფასი 150.000 დოლარი. ტელ: 599-50-75-22.

## განცხადებები

მკურნალობა უმაღლესი შედეგებით: ოსტეოქონდროზი, სმენისა და მხედველობის დაქვეითება, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, უძილობა, კუჭ-ნაწლავის დაავადებები, რადიკულიტი, ჰეპატიტი, სახსრების დაავადება, კიდურებში სიცივე და დაბუჟება, მასტიტი, ნეფრიტი, შარდსასქესო სისტემის დაავადებები, პროსტატიტი, ნეიროდერმიტი და სხვა. ტელ: 595 45 50 35; 599 97 85 46 ბ-ნი ლევანი.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ: 2-96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა, თვეში 3-5 სმ მომატებით 25 წლამდე, ძვლის აქტიური კვება-ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე უნებლიე შარდვის (ენურეზის) მკურნალობა როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში. ასევე გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა უკუჩვენების გარეშე, 100% შედეგებით. ტელ: 599-964-494; 234-02-38 ექიმი სალომე.

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 568-657-486; 253-15-87.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები მოამზადებენ აბიტურიენტებს, მაგისტრანტებსა და მოსწავლეებს ეროვნული და საატესტატო გამოცდებისთვის ყველა საგანში, ოთხი საგანი 160 ლარი. ტელ: 239-08-42; 599-48-39-13.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მკურნალობა (მწვავე და ქრონიკული, გასტრიტი, სველი და მშრალი კოლიტი, ენტერიტი, ყაზბობა, დიარეა, დისბაქტერიოზი), ორგანიზმის წმენდა ტოქსინებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგებით. ტელ: 599-964-494; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი სალომე.

● ჰორმონალური პრობლემის მოწესრიგება, ციკლის დარღვევები, კლიმაქსური ფონის მოხსნა, სიმსივნური პროცესის შეჩერება (იმუნიტეტის გაძლიერება) მცენარეული საშუალებებით. ტელ: 234-02-38; 790-503-411 ქ-ნი ნონა.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




**იცხოვრეთ მომავალისთვის.**

**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

# გიორგი მერებაშვილი: „დეზინფორმაციის გამო ქეცბაიასთან კამათი მომივიდა“

**სერბული „ვოივოდინას" ქართველი ნახევარმცველის გიორგი მერებაშვილის ინტერვიუ კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა, სადაც ფეხბურთელი აღნიშნავს, რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელ თემურ ქეცბაიასთან კამათი მოუვიდა და ეროვნულ გუნდში ამიტომ აღარ იძახებენ.**



*— უკვე რამდენიმე წელიწადია სერბეთში ცხოვრობთ. ყველაზე მეტად რა მოგწონთ ამ ქვეყანაში ან რა გაწუხებთ?*

— ძალიან მომწონს, რომ სერბეთში ხალხს სპორტი ძალიან უყვარს, განსაკუთრებით ფეხბურთი. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ მათგანს ეკონომიკური კრიზისი აწუხებს, ფეხბურთზე უფრო ბევრს საუბრობენ, ვიდრე პოლიტიკაზე. ეს, ნებისმიერ შემთხვევაში, უკეთესია. არ მომწონს, რომ სერბულ ქალაქებში გულშემატკივრები ადგილობრივ კლუბებს უფრო ნაკლებად გულშემატკივრობენ, ვიდრე ბელგრადულ გრანდებს. ჩემთვის ეს წარმოუდგენელია და ამას ვერასოდეს ავხსნი. საქართველოს ნებისმიერ ქალაქში გულშემატკივრები მხარს ადგილობრივ გუნდს უჭერენ, მიუხედავად იმისა, თუ როგორ თამაშობს.

*— თქვენთვის რა უფრო მნიშვნელოვანია — თანაგუნდელისთვის ასისტენტობის გაწევა თუ გოლის გატანა?*

— ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, 90 წუთის შემდეგ ტაბლოზე დაფიქსირებული შედეგია. ნაკლებად მნიშვნელოვანია, მე გავიტან თუ თანაგუნდელს ასისტენტობას გავუწევ.

*— საქართველოს ნაკრებში აღარ გიწვევენ. რა მოხდა?*

— ნაკრების მწვრთნელ ქეცბაიასთან, გაუგებრობა მომივიდა. ეს ზოგიერთი ადამიანის მიერ გავრცელებულმა დეზინფორმაციამ გამოიწვია. მათ კარგი არც ჩემთვის უნდათ და არც ქეცბაიასთვის. საქმე ჩვენ შორის მცირე კამათამდე მივიდა, რის შემდეგაც მან ნაკრების სიიდან ამომიღო.

*— სერბეთის ჩემპიონატში ყველაზე მეტად რომელი ფეხბურთელის წინააღმდეგ გიჭირს თამაში?*

— სერბულ კლუბებში ძალიან კარგი მოთამაშეები არიან, მაგრამ, დამიჯერეთ, ისეთი არავინაა, რომლისაც მეშინია. თითოეულ მათგანს ვაფასებ და სერიოზულად აღვიქვამ. მოედანზე ხან მე ვარ უკეთესი, ხან მეტოქე.

*— ცნობილია, რომ „ვოივოდინას“ ყოფილი ფეხბურთელი მიხეილ ხუციშვილი თქვენი კარგი მეგობარია. შეგიძლიათ გვითხრათ, რით არის დაკავებული, რადგან კარიერა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო დაასრულა.*

— მიშა ჩემი ძალიან კარგი მეგობარია. ის კარგი ფეხბურთელი იყო და საწყენია, რომ კარიერა ადრე დაასრულა. იგი კვლავ ფეხბურთშია და მენეჯერობს. ამჟამად გორის საფეხბურთო კლუბ „დილას“ სპორტული დირექტორია.

*— ბევრ უცხოელს, რომლებიც სერბულ კლუბებში თამაშობენ, სურვილი აქვთ, სერბული პასპორტი მიიღონ. თქვენც ასე ფიქრობთ?*

— სერბული პასპორტი? მას დაუფიქრებლად ავიღებდი და მინდა ვაღიარო, რომ ეს ჩემი და მეუღლის საერთო სურვილია. აქ თავს როგორც საკუთარ სახლში, ისე ვგრძნობ. ჩვენ ბევრი ჭეშმარიტი მეგობარი შევიძინეთ და ქალაქ ნოვი-სადში საუცხოო დღეები გავატარეთ. ბოლოს და ბოლოს, ჩემი მეუღლე — სოფი, ოჯახის მცირე წინააღმდეგობის მიუხედავად, აქ ჩამოვიდა და ქალიშვილი ნატალია ნოვი-სადში შეგვეძინა.

*— სხვათა შორის, ცოლებზე. თქვენმა მეუღლემ ზოგიერთი სერბული კერძის გაკეთება ისწავლა?*

— ბოლომდე არა, მაგრამ სწავლობს.

*— ნოვი-სადში ძირითადად ტაქსით გადაადგილდებით. თბილისში თუ გაქვთ ავტომანქანა და რომელი მარკის?*

— მაქვს მინი ინფინიტი. დღესდღეობით მის საჭესთან მამაჩემი ზის.

# იბერია სტარი ელიტ რაუნდისთვის იბრძოლებს

27-30 სექტემბერს თბილისის „სპორტის სასახლეში“ გაიმართება „უეფას ფუტსალის თასის“ ძირითადი ეტაპის გათამაშება, სადაც მონაწილეობას 4 გუნდი მიიღებს — „იბერია სტარი“ (საქართველო), „სლოვ-მატიკი“ (სლოვაკეთი), „მაპიდი“ (ბელარუსი), „ჟენევა“ (შვეიცარია).

„იბერია სტარი“ ევროპაში კოეფიციენტით მერვე გუნდია და ცხადია, ამ ჯგუფში ფავორიტად მიიჩნევა. გუნდი რომ ელიტ რაუნდში გასასვლელად იბრძოლებს, არც ამაზე ღირს კამათი. მით უფრო, რომ ძირითადი ეტაპიდან ჯგუფის 2 საუკეთესო შედეგის მქონე გუნდი გავა. ელიტ რაუნდში კი ევროპის 16 საუკეთესო გუნდი ითამაშებს.



ტურნირის ორგანიზატორებმა, რომელთა სიაში არიან საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, ფეხბურთის ფედერაცია და ფუტსალის ასოციაცია, პრესკონფერენცია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გამართეს.

**გიორგი დარჯანია, ფუტსალის ფედერაციის მედიასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი:**

— „იბერია სტარი“ ერთადერთი გუნდია, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ყველა გათამაშებაში მონაწილეობდა, თუმცა ქართული გუნდი სამშობლოში პირველად ითამაშებს. საქართველოში ჩამოსული იყო უეფას ინსტრუქტორი, ვინც დაათვალიერა თბილისში მდებარე სასტუმროები და სპორტის სასახლე, სადაც მატჩები გაიმართება. სტუმარი ნანახით კმაყოფილი დარჩა, მალევე კი უეფასგან ჩემპიონთა ლიგის მატჩების მასპინძლობის უფლება მივიღეთ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

**ვახტანგ წერეთელი, „იბერია სტარის“ პრეზიდენტი:**

— მადლობა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და ფეხბურთის ფედერაციას მხარდაჭერისთვის, ვისი დახმარებითაც მოხერხდა ჩემპიონთა ლიგის მატჩების მასპინძლობა. ჩვენი გადაწყვეტილებით თამაშებზე დასწრება უფასო იქნება, ამიტომ დიდი იმედი გვაქვს, რომ გულშემატკივარი სპორტის სასახლეს გაავსებს. გუნდი მოახლოებული მატჩებისთვის ემზადება და დარწმუნებულები ვართ, რომ გულშემატკივარი არ მოიწყენს.

**გია გალდავა, მედიასთან სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე:**

— ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ასეთი მაღალი დონის ღონისძიება თბილისში ტარდება, ქართული გუნდი კი უეფას რეიტინგში მე-8 ადგილზეა. კარგია, რომ გულშემატკივარს მატჩებზე თავისუფლად დასწრების საშუალება მიეცემათ და „იბერია სტარს“ უქომაგებენ.

**ტურნირის კალენდარი:**

27 სექტემბერი 15:30 სლოვ-მატიკი-ჟენევა; 18:00 იბერია სტარი-მაპიდი;
28 სექტემბერი 15:30 მაპიდი-სლოვ-მატიკი; 18:00 იბერია სტარი-ჟენევა;
30 სექტემბერი 15:30 ჟენევა-მაპიდი; 18:00 იბერია სტარი-სლოვ-მატიკი.

# კალენდრით ყველა კმაყოფილია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

**თემურ ქეცბაია:**

— ევროპის 2012 წლის შესარჩევი ციკლის კალენდარზე მსჯელობა გაცილებით დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე დღეს. კმაყოფილი ვარ, რომ შეთანხმებას სწრაფად მივაღწიეთ. კალენდარი ჩემთვის ძალიან მისაღებია. ჩვენ ვიმყოფებით ჯგუფში, რომელიც ნებისმიერი გუნდისათვის ძნელია. მხოლოდ 5 გუნდია და ამიტომ 8 თამაში უნდა ჩავატაროთ. ახლა საჭიროა, რომ თავისუფალი თარიღები და მეტოქეები ვნახოთ, რათა კონკურენტებს არ ჩამოვრჩეთ. ჩვენი ჯგუფის ყველა გუნდი მსგავს ვითარებაშია. ნებისმიერი გუნდისთვის საინტერესოა მოქმედ მსოფლიოს ჩემპიონთან და საფრანგეთთან — 2 ძლიერი საფეხბურთო ქვეყნის წარმომადგენლებთან თამაში.

**ვისენტე დელ ბოსკე, ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი:**

— კომპრომისის მიღწევაზე ყველა მხარემ იზრუნა. როდესაც კალენდარს შეხედავ, მიხვდები, რომ გამარჯვებული ან დამარცხებული არ არსებობს. შეხვედრის ყველა მონაწილე მიღწეულით კმაყოფილი დარჩა. შესარჩევ ციკლს საქართველოს ნაკრებთან მატჩით ვიწყებთ 2012 წლის სექტემბერში, ესპანეთის ნაკრებისთვის კარგ პერიოდში. რა თქმა უნდა, ყველა ამბობს, რომ საფრანგეთთან ერთად ჯგუფში ფავორიტები ვართ, მაგრამ მსოფლიოს ნებისმიერ გუნდს პატივისცემით ვეპყრობით. ამ დონეზე თამაშისას სულ მზად უნდა იყო, მით უმეტეს, ვიცით, რომ ნებისმიერი გუნდი შეეცდება ესპანეთის დამარცხებას, რადგან მსოფლიოს ჩემპიონები ვართ.

**ბერნდ შტანგე, ბელარუსის ნაკრების მწვრთნელი:**

— შეხვედრის მონაწილეებმა ერთმანეთის მიმართ დიდი პატივისცემა გამოხატეს. საბოლოო ჯამში, სწორედ ამან ითამაშა გადამწყვეტი როლი — მივაღწიეთ შეთანხმებას, რომელიც ყველასთვის მისაღები აღმოჩნდა. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ დისკუსია ჯამში 2 საათი გაგრძელდა. საერთოდ, ოპტიმისტი ვარ, მაგრამ საფრანგეთთან და ესპანეთთან ერთად ჯგუფში ყოფნა ძალიან ძნელია. ვფიქრობ, რომ ჯგუფის ფავორიტები სწორედ ეს გუნდები არიან. ჩვენ რაც შეგვეხება, ბოლო წლებში დიდ პროგრესს მივაღწიეთ.

**მიქსუ პაატილაინენი, ფინეთის ნაკრების მწვრთნელი:**

ჩვენ ვართ ჯგუფში, სადაც კანონზომიერად რჩეული გუნდები — ესპანეთი და საფრანგეთია. ძალიან გვიხარია და ჩვენთვის დიდი პატივია შესარჩევი ციკლის დაწყება ჰელსინკში, საფრანგეთის მასპინძლობით. ეს ფინელების საუცხოო შანსი იქნება, რომ ევროპაში ყველას საკუთარი პროგრესი დაანახვონ. რთული დასაწყისი გველის. ბოლო თამაშსაც ფრანგებთან ვატარებთ, პარიზში, რაც ძალიან საინტერესოა. ჩვენი გუნდი ძალიან ახალგაზრდაა. ასე რომ, მოთამაშეებს დიდი შესაძლებლობა ეძლევათ, სწავლა და გამოცდილების მიღება განაგრძონ.

## შედეგები

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | |
| სიტი-ევერტონი | 2:0 |
| არსენალი-ბოლტონი | 3:0 |
| ვესტ ბრომვიჩი-ფულემი | 0:0 |
| ლივერპული-ვულვზი | 2:1 |
| ნიუკასლი-ბლექბერნი | 3:1 |
| უიგანი-ტოტენჰემი | 1:2 |
| ჩელსი-სუონსი | 4:1 |
| სტოკი-მანჩესტერი | 1:1 |
| **ინგლისი. ჩემპიონლიგა** | |
| ბარნლი-საუთჰემპტონი | 1:1 |
| ბირმინგემი-ბარნსლი | 1:1 |
| ბრისტოლი-ჰალი | 1:1 |
| ვესტ ჰემი-პიტერბრო | 1:0 |
| დონკასტერი-კრ.პალასი | 1:0 |
| ქოვენთრი-რედინგი | 1:1 |
| მიდლსბრო-იფსვიჩი | 0:0 |
| პორთმუთი-ბლექპული | 1:0 |
| უოტფორდი-ნოტინგემი | 0:1 |
| **ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი** | |
| ბილბაო-ვილიარეალი | 1:1 |
| სევილია-ვალენსია | 1:0 |
| რეალი-რაიო | 6:2 |
| ბარსელონა-ატლეტიკო | 5:0 |
| **ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი** | |
| საბადელი-ერკულესი | 1:1 |
| ალკორკონი-დეპორტივო | 4:0 |
| ალკოიანო-ვილიარეალი ბ | 1:1 |
| ბარსელონა ბ-უელვა | 2:2 |
| ხირონა-ლას პალმასი | 4:2 |
| გვადალახარა-კარტახენა | 2:0 |
| ხიმნასტიკი-უესკა | 1:3 |
| **იტალია. სერია ა** | |
| ბოლონია-ინტერი | 1:3 |
| მილანი-ჩეზენა | 1:0 |
| ნაპოლი-ფიორენტინა | 0:0 |
| **იტალია. სერია ბ** | |
| ალბინოლეფე-სამპდორია | 1:3 |
| ასკოლი-ვერონა | 1:2 |
| ბრეშა-ჩიტადელა | 2:0 |
| გროსეტო-კროტონე | 2:0 |
| გუბიო-ვარეზე | 0:0 |
| ნოჩერინა-ტორინო | 1:2 |
| პადოვა-მოდენა | 2:0 |
| სასუოლო-ბარი | 1:2 |
| იუვე სტაბია-პესკარა | 3:2 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | |
| აუსბურგი-ჰანოვერი | 0:0 |
| გლადბახი-ნიურნბერგი | 1:0 |
| ვოლფსბურგი-კაიზერი | 1:0 |
| მაინცი-დორტმუნდი | 1:2 |
| შალკე-ფრაიბურგი | 4:2 |
| ბაიერნი-ლევერკუზენი | 3:0 |
| **გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა** | |
| უნიონი-ალემანია | 2:0 |
| ფორტუნა-კოტბუსი | 4:2 |
| **საფრანგეთი. 1 ლიგა** | |
| ვალანსიენი-მარსელი | 1:1 |
| ლილი-ლორიენი | 1:1 |
| ლიონი-ბორდო | 3:1 |
| ნიცა-დიჟონი | 1:1 |
| ტულუზა-ნანსი | 1:0 |
| ევიანი-კაენი | 2:4 |
| მონპელიე-პსჟ | 0:3 |
| **საფრანგეთი. მე-2 ლიგა** | |
| არლე-ლანსი | 3:0 |
| **ჰოლანდია. ერედივიზიონი** | |
| პსვ-როდა | 7:1 |
| ბრედა-უტრეხტი | 1:0 |
| დენ ჰააგი-ვენლო | 2:0 |
| ჰერენვენი-ერაკლესი | 1:1 |
| აიაქსი-ტვენტე | 1:1 |
| **ჰოლანდია. მე-2 დივიზიონი** | |
| ემენი-ვოლენდამი | 0:4 |
| **პორტუგალია. ა ლიგა** | |
| ბრაგა-ნასიონალი | 2:0 |
| სპორტინგი-სეტუბალი | 3:0 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | |
| ზენიტი-ტომი | 4:0 |
| ცსკა-ვოლგა | 3:1 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | |
| დანფერმლაინი-რეინჯერსი | 0:4 |
| მოზერველი-აბერდინი | 1:0 |
| სელტიკი-ინვერნესი | 2:0 |
| სტ.მირენი-კილმანროკი | 3:0 |
| ჰიბერნიანი-დანდი | 3:3 |
| **ავსტრია. ბუნდესლიგა** | |
| ინსბრუკი-რაპიდი | 0:3 |
| აუსტრია-შტურმი | 2:1 |
| ნოიშტადი-რიდი | 2:2 |
| კაფენბერგი-მატერსბურგი | 1:0 |
| **ბელგია. პროლიგა** | |
| მეხელენი-ლოკერენი | 0:2 |
| ბრიუგე-მონსი | 2:1 |
| ვარეგემი-კორტრაიკი | 1:0 |
| ლიერსი-ვესტერლო | 0:0 |
| ევერლე-გენკი | 1:1 |
| სტ.ტრუიდენი-გენტი | 3:4 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | |
| თუნი-ბაზელი | 1:1 |
| ციურიხი-იანგ ბოიზი | 1:2 |
| **საბერძნეთი. სუპერლიგა** | |
| კერკირა-პანიონიოსი | 0:3 |
| **თურქეთი. სუპერლიგა** | |
| მერსინი-გაზიანთები | 2:0 |
| მანისა-ისტამბული | 0:2 |
| ტრაბზონი-ქარაბუქი | 3:1 |
| **ჩეხეთი. გამბრინუსლიგა** | |
| სიგმა-ტეპლიცე | 1:0 |
| ბანიკი-სლოვაცკო | 0:1 |
| **პოლონეთი. ეკსტრაკლასა** | |
| გურნიკი-კრაკოვია | 0:1 |
| ზაგლებიე-ლოძი | 2:1 |
| ბელხატოვი-ლეგია | 0:2 |
| **უკრაინა. პრემიერლიგა** | |
| ვორსკლა-ვოლინი | 3:1 |
| მეტალისტი-დნიპრო | 1:0 |
| დინამო-შახტარი | 0:0 |
| **დანია. სუპერლიგა** | |
| ბრონდბიუ-კოპენჰაგენი | 1:2 |
| ორხუსი-ნორდსიელანდი | 1:0 |
| **შვედეთი. ალსვენსკა** | |
| მიალბი-ელფსბორგი | 2:1 |
| ჰალმშტადი-სირიანსკა | 0:1 |
| **ნორვეგია. ტიპელიგა** | |
| სტრომგოდსეტი-სტაბეკი | 1:0 |
| **ფინეთი. თასი** | |
| **ფინალი** | |
| ჰიკი-კუუპიო | 2:1(დდ) |
| **ირლანდია. თასი** | |
| **ფინალი** | |
| კორკი-დერი | 0:1 |
| **აშშ. მლს** | |
| ვაშინგტონი-სოლტ ლეიკი | 4:1 |
| კოლამბუსი-ლოს ანჯელესი | 0:1 |
| ნიუ იორკი-პორტლენდი | 2:0 |
| კოლორადო-სან ხოსე | 1:1 |
| ვანკუვერი-სიეტლი | 1:3 |
| ჩივასი-ტორონტო | 3:0 |
| **ბრაზილია. სერია ა** | |
| ატლეტიკო(პ)-ფლუმინენსე | 1:1 |
| სანტოსი-ფიგუირენსე | 2:3 |
| ფლამენგო-ამერიკა | 2:1 |

### ფრენბურთი

| | |
|---|---|
| **ევროპის ჩემპიონატი** | |
| **ქალები** | |
| პოლონეთი-ისრაელი | 3:0 |
| გერმანია-უკრაინა | 3:0 |
| ჰოლანდია-ბულგარეთი | 3:0 |
| თურქეთი-ხორვატია | 0:3 |
| ჩეხეთი-რუმინეთი | 3:0 |
| სერბეთი-საფრანგეთი | 3:1 |
| იტალია-აზერბაიჯანი | 3:1 |
| რუსეთი-ესპანეთი | 3:1 |

### ხელბურთი

| | |
|---|---|
| **მსოფლიო თასი** | |
| **ქალები** | |
| რუსეთი-საფრანგეთი | 27:26 |
| ნორვეგია-ესპანეთი | 25:23 |

### რაგბი

| | |
|---|---|
| **მსოფლიო თასი** | |
| ინგლისი-რუმინეთი | 67:3 |
| ახალი ზელანდია-საფრანგეთი | 37:17 |
| ფიჯი-სამოა | 7:27 |
| ირლანდია-რუსეთი | 62:12 |
| არგენტინა-შოტლანდია | 13:12 |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ატპ. მეცი. პარდი** | |
| ლუბიჩიჩი-მიულერი | 7:6;7:6 |
| ცონგა-დოლგოპოლოვი | 6:4;6:4 |
| **ვტა. სეული. პარდი** | |
| **ფინალი** | |
| მარტინეს სანჩესი-ვოსკობაევა | 7:6;7:6 |

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

# ლიბიის ოპოზიცია კადაფის მშობლიურ ქალაქში შევიდა

ლიბიის ახალი მთთვრობის, გარდამავალი ეროვნული საბჭოს ძალები კადაფის მშობლიურ ქალაქ სირტში შევიდნენ.




გავრცელებული ცნობების თანახმად, სროლის ხმა ქალაქის ცენტრიდან ერთი კილომეტრიც დაშორებით ისმის.

კადაფის მოწინააღმდეგეებმა სირტზე იერიშის წინ ძალთა გადაჯგუფება მოახდინეს.

იმავდროულად, თავად კადაფის ადგილსამყოფელი უცნობია. სირტი კვლავინდებურად კადაფის ერთგული რჩება.

ამ ქალაქს ლიბიის ახალი მთავრობისათვის სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. ახალი მთავრობის ქალებმა ქალაქს ორი მხრიდან, დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან შეუტიეს. ქალაქში მათ აღმოსავლეთიდან შეაღწიეს.

გავრცელებული ცნობების თანახმად, კადაფის მომხრეები წინააღმდეგობას აგრძელებენ. სნაიპერები მეჩეთებს და სხვა შენობებს უშენენ ცეცხლს.

ახალმა ხელისუფლებმა სირტის აღება ერთი კვირის წინაც სცადეს, მაგრამ უკან დახევა აიძულეს.

შაბათს ნატოს თვითმფრინავებმა ქალაქის ტერიტორიაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი ობიექტი დაბომბეს.

გარდა სირტისა, კადაფის ერთგული რჩება ქალაქი ბენი ვალიდი, რომელიც ტრიპოლის მახლობლად, მისურატის მუნიციპალიტეტში მდებარეობს.

# ინდონეზიაში ქრისტიანებს დაესხნენ თავს

ინდონეზიაში, ცენტრალურ იავას პროვინციაში თვითმკვლელი ტერორისტის პროტესტანტული ეკლესიის მრევლზე თავდასხმის შედეგად 20 ადამიანი დაშავდა.




თავდამსხმელი ადგილზე გარდაიცვალა. გავრცელდა ცნობები კიდევ სამი დაღუპულის შესახებ, თუმცა, პოლიციას ეს ინფორმაცია არ დაუდასტურებია.

თვითმხილველების თქმით, აფეთქება მოხდა მაშინ, როდესაც მრევლი ეკლესიიდან კვირის წირვის შემდეგ გამოდიოდა.

ექიმების თქმით, დაშავებულთაგან ზოგიერთის მდგომარეობა მძიმეა.

ინდონეზიის უშიშროების მინისტრმა ჯოკო სუიანტომ განაცხადა, რომ ასეთი „არაადამიანური" თავდასხმის გამართლება შეუძლებელია.

ინდონეზიაში მოსახლეობის 86% ისლამს აღიარებს. იგი მსოფილოში უდიდეს მუსლიმანურ ქვეყნად არის აღიარებული. იმავდროულად, ოფიციალურად ინდონეზია საერო სახელმწიფოა.

რადიკალურად განწყობილი ისლამური დაჯგუფებები სხვა რელიგიების წარმომადგენლებს რეგულარულად ესხმიან თავს. ამ თავდასხმების შედეგად ათობით ადამიანი იღუპება.

ყველაზე მძლავრ ტერორისტულ დაჯგუფებად ალ-კაიდასთან კავშირის მქონე ჯემა ისლამია ითვლება. სწორედ მას აკისრებენ 2002 წელს კუნძულ ბალიზე მომხდარი ტერაქტის პასუხისმგებლობას, რის შედგადაც 202 ადამიანი დაიღუპა.

# ნეპალში ტურისტების თვითმფრინავი ჩამოვარდა

ნეპალში ჩამოვარდა მცირე ზომის თვითმფრინავი, რომელშიც 19 ადამიანი, 16 ტურისტი და ეკიპაჟის სამი წევრი იმყოფებოდა.




გავრცელებული ცნობების თანახმად, მათი უმეტესობა დაიღუპა. იუწყებიან ერთი გადარჩენილის შესახებ, თუმცა ეს ინფორმაცია ოფიციალურად არ დაუდასტურებიათ.

ხელისუფლების თქმით, თვითმფრინავმა მიწასთან რადიოკავშირი დაკარგა და კატმანდუს აეროპორტში დაშვებამდე ჩამოვარდა.

მგზავრების უმეტესობა უცხოელი ტურისტი, ძირითადად ინდოელები იყვნენ.

ვიაკომპანია „ბუდა ეარის" თვითმფრინავი ევერესტის მახლობლად ექსკურსიიდან უკან ბრუნდებოდა. კატმანდუსთან მიახლოებისას პილოტებმა დისპეტჩერებთან კავშირი დაკარგეს და თვითმფრინავი რადარების ეკრანებიდან გაუჩინარდა.

ავარიის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. იუწყებიან, რომ აეროპორტის რაიონში ძლიერი ნისლი იყო.

თვითმხილველების თქმით, ჩამოსავარდნად განწირული თვითმფრინავიდან კვამლის სქელი ბოლქვები გამოდიოდა.

ნეპალი ჰიმალაებში მდებარეობს. მცირე ზომის თვითმფრინავების კატასტროფა აქ იშვიათობას არ წარმოადგენს. გასული წლის დეკემბერში კატმანდუს აღმოსავლეთით საავიაციო კატასტროფაში დაიღუპა.

2010 წლის აგვისტოში ცუდი კლიმატური პირობების გამო ევერესტის რაიონში მცირე ზომის თვითმფრინავი ჩამოვარდა. დაიღუპა თვითმფრინავში მყოფი 14 მგზავრი, მათ შორის ოთხი ამერიკელი, ერთი იაპონელი და ერთი ბრიტანელი ტურისტი.

ნეპალის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი ზღვის დონიდან სამი ათას კილომეტრზე მაღლა მდებარეობს.

# ალფა ნაწილაკები პროსტატის კიბოს წინააღმდეგ

ბრიტანელმა მედიკოსებმა წარმატებით გამოსცადეს პროსტატის კიბოს საწინააღმდეგო ახალი საშუალება, რომელიც ალფა ნაწილაკების გამოყენებას ეყრდნობა.

ექსპერიმენტის კლინიკური შედეგები იმდენად კარგი აღმოჩნდა, რომ იგი ვადამდე შეწყვიტეს.

ონდონის როიალ მარსდენის საავადმყოფოს ექიმებმა განაცხადეს, რომ ახალი პრეპარატის გამოცდაში მონაწილეობდა 992 პაციენტი, რომლებსაც პროსტატის კიბოს გვიანი სტადია ჰქონდათ. ეს დაავადება ძალიან ხშირად ძვლის ქსოვილზეც ვრცელდება და ასეთი ავადმყოფების გამოჯანმრთელება ვერ ხერხდება.

პაციენტების ნახევარი ახალ პრეპარატს იღებდა, რომელიც ალფა გამოსხივების წყაროს, რადიოაქტიურ ნივთიერება რადიუმ-223-ს იღებდა. სხვა პაციენტები ტრადიციულ ქიმიოთერაპიას ან პლაცებოს იღებდნენ.

ჯგუფში, რომელიც ახალ პრეპარატს იღებდა, სიკვდლიანობა 30%-ით შემცირდა. ალფა ნაწილაკების გამოყენების შემთხვევაში პაციენტების სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ 14 თვეს შეადგენდა, ქიმიოთერაპიის შემთხვევაში — საშუალოდ 11 თვეს.

გამოკვლევის ერთ-ერთი ავტორის თქმით, გარკვეულ ეტაპზე ექსპერიმენტი შეწყვიტეს, რადგან მისი მონაწილეების გარკვეული ნაწილისათვის



პლაცებოს მიცემა არაეთიკურად მიიჩნიეს.

რადიოაქტიურ გამოსხივებას სიმსივნეების წინააღმდეგ 100-წელზე მეტი ხანია იყენებენ. გამოსხივება სიმსივნის უჯრედების გენეტიკურ კოდს ანადგურებს. ამასთან, ალფა ნაწილაკების დამაზიანებელი მოქმედება ბეტა ნაწილაკებთან შედარებით გაცილებით მეტია და ისინი სიმსივნეს უფრო მეტად აზიანებენ.

მკვლევრების თქმით, ალფა ნაწილაკებს სიმსივნის უჯრედის გასანადგურებლად ერთიდან სამი დარტყმა სჭირდებათ, ბეტა ნაწილაკებს კი — რამდენიმე ათასი.

ამასთან, მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ალფა ნაწილაკების შემთხვევაში გვერდითი მოვლენები პლაცებოსთან შედარებითაც კი ნაკლები იყო.

მეცნიერები ამას იმით ხსნიან, რომ ალფა ნაწილაკებს მოქმედების ძალიან მცირე რადიუსი გააჩნიათ და ქსოვილებს აზიანებენ იქ, სადაც იგი მედიკოსებს შეჰყავთ.

*მოამზადა გენადი თვაურმა*

# ცხოფყდჯჰლბ



1. ბრინჯაო; 2. იტალიელი მწერალი ქალი XX ს.ს.; 3. რძის პროდუქტი; 4. ბიბლიური პერსონაჟი; 5. საგამოფენო დაფა; 6. გალაკტიონის ლექსი; 7. ფინური ხურდა ფული; 8. ხელოვნების დარგი; 9. ანდამატი; 10. ქალაქის თავი; 11. ქალბატონი (გერმანულად); 12. ...ჰეპბერნი; 13. ცალთვალა მითიური გოლიათი; 14. სალებავი; 15. ატმოსფერული მოვლენა; 16. ...პაჩინო; 17. თეთრკანიანი რეპერი; 18. წყლისპირა მცენარე; 19. მდინარე იტალიაში; 20. ხელოვნების დარგი; 21. ინდოელი კინორეჟისორი; 22. საბერძნეთის კუნძული ეგეოსის ზღვაში; 23. პარკოსანი მცენარე; 24. ერთუჯრედიანი ცხოველი; 25. ვარდობისთვე; 26. „..., დამაცადე!" 27. მდინარე კახეთში; 28. ნიავი; 29. ვულკანი სიცილიაზე; 30. ხეთების ქალღმერთი; 31. ქიმიური ელემენტი; 32. ტაილანდის ფული; 33. ინგლისელი ფიზიკოსი (1544-1603); 34. სახოტბო ლექსი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. შაჰი; 2. ისე; 3. კარაკასი; 4. პა; 5. შიკოლონე; 6. აკრი; 7. ბიუჯეტი; 10. კილი; 11. ფიუმიჩინო; 12. ტარტიუფი; 13. თული; 16. ტონიკი; 18. მიტარბი; 19. სტამპა; 21. ბრუტო; 24. კასიო.

**თარაზულად:** 1. შეიკერი; 3. კანაპე; 8. ბისკაი; 9. ჰუკი; 14. ელესა; 15. ბუგელი; 17. რადა; 20. სტილბი; 22. ნაიკი; 23. ტრიუკი; 25. მზე; 26. იუტა; 27. იაძე; 28. სიგნატურა

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჰუნდაი; 2. მწვადი; 3. ჰომეროსი; 4. ფიგარო; 6. ხულიგანი; 8. ახმეტა; 11. ბეისბოლი; 12. საცივი; 16. ბამბა; 17. თაობა; 18. პულსი.

**თარაზულად:** 1. ჰეტმანი; 5. მესხი; 7. სომელიე; 9. დიხაშხო; 10. ფაქტორი; 13. ტექსელი; 14. ბესონი; 15. იავა; 19. სირტაკი; 20. მარჩვიბი; 21. ნაბელლავი; 22. შიიზმი.

# ქართული კინოს ენციკლოპედიაზე მუშაობა დასრულებულია

დასაწყისი მე-7 გვერდზე

კოსტიუმების ესკიზებისა და აფიშების რეპროდუქციებით. ბიოგრაფიული სტატიების ნაწილს ახლავს პიროვნების პორტრეტი. ქართული კინოს ენციკლოპედიის ავტორი, შემდგენელი და რედაქტორი მარინა კერესელიძეა, ხოლო მხატვარი — ბაჩა მალაზონია.

ლექსიკონი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, კომპანია „სილქნეტის" ფინანსური მხარდაჭერითა და კინოსტუდია „ქართულ ფილმთან" თანამშრომლობით გამოიცა.

პრეზენტაციას პროექტის ავტორი, კომპანია „დამოუკიდებელი კინოპროექტის" გენერელური პროდიუსერი არჩილ გელოვანი, გამოცემის ავტორი, შემდგენელი და რედაქტორი მარინა კერესელიძე, სარედაქციო ჯგუფი, ქართული კინოს ცნობილი სახეები, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა და მოწვეული სტუმრები დაესწრებიან.

# სამგლოვიარო განცხადებები



### ბექა!

გულის სიღრმიდან ტკივილიან დაბადების დღეს გილოცავ, მწარედ მოსაგონარო, ტკივილმოუშუშებელო! ოცდათვრამეტი წელი შეგისრულდა ცათა სასუფეველში. ათი წელი გაგიხდა იმ ავბედითი დღიდან, მაგრამ ის ტკივილი დღესაც ისევე გაუსაძლისია, როგორც მაშინ. შენ იყავი ჩემი ცხოვრების მიზანი, შენით ვხარობდი, ჩემო ერთადერთო, შენი უდროოდ წასვლით ყველაფერმა აზრი დაკარგა. შენ ნაადრევად, ულამაზეს ხანაში დატოვე სიცოცხლე. არ დაგცალდა, ღირსეული მამობა გაგეწია შენი მარისთვის. იმ ავბედითმა დღემ განსაზღვრა ჟამი შენი ამქვეყნად ყოფნისა. უძლური აღმოჩნდი უფლის წინაშე...

სიკეთით და ვაჟკაცობით გამორჩეულს, განგებამ მარადიული ახალგაზრდობა გარგუნა, ხოლო მე — შენს დედას სევდა და მოუშუშებელი ტკივილი.

გულში გიკრავ, გკოცნი, გეფერები, ჩემო ნებიერა, კოპწია ბიჭო.

*დედა*

---

მეუღლე ბაბო დანელია, შვილები სულხანი, ზაზა, რუსუდანი, იუწყებიან

**პლატონ ემუხვარის**

გარდაცვალებას.
დაკრძალვა 27 სექტემბერს, 15 საათზე.
მის: გლდანი, მე-3 მ/რ-ნი, 68-ე ბ კორპუსი, ბინა 18.

---



საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის 1950 წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა ჩვენი მეგობარი და კოლეგა, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, საქართველოს ენერგეტიკული მეცნიერების აკადემიის წევრი, პროფესორი, ყოფილი საბჭოთა კავშირის და საქართველოს მინისტრთა საბჭოების პრემიების ლაურეატი, დამოუკიდებელი საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი

**პეტრე ლუტიძე**

და თანაგრძნობას ვუცხადებთ მის საყვარელ ოჯახის წევრებს.

*ლამარა მახარაშვილი, ნელი გამყრელი ძ, იამზე ფანცხავა, ნათელა ქედია, ადივო გვალია, გია გივიბერია, ნოდარ მე მარიაშვილი, ირაკლი მილორავა, ოთარ რამიშვილი, კოტე უჩანეიშვილი, გუგა ქოხონელი ძ, რეზო ხარატიშვილი*

---



### პეტრე ლუტიძე
### 1926-2011

საქართველოს სწავლულმა ჰიდროტექნიკოსებმა დიდი დანაკლისი განიცადეს. ჩვენს რიგებს გამოაკლდა ცნობილი მეცნიერი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის აკადემიკოსი პეტრე ლუტიძე.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ნაგებობათა და ჰიდროტექნიკის თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ბატონმა პეტრემ მეტად ნაყოფიერი მეცნიერული შემოქმედებით დატვირთული გზა განვლო, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლიდან სამეცნიერო განყოფილების ხელმძღვანელამდე. 1976 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და 1978 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

ბატონი პეტრეს სამეცნიერო მოღვაწეობის სფერო მოიცავს ნაგებობათა სეისმომედეგობის საკითხებს. მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით დამუშავდა ნაგებობების დინამიკური მახასიათებლებისა და სეისმომედეგობის თეორიული და ექსპერიმენტული გამოკვლევების მეთოდები, სხვადასხვა ტიპის კაშხლებისა და სამკუთხა ფილების რხევის დინამიკური ამოცანები. ჩამოყალიბდა სამეცნიერო სკოლა, რომელიც წლების განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდა ენერგეტიკული ობიექტების ნაგებობათა სეისმომედეგობის გამოკვლევებში, შესრულდა ენგურის, ჩირკეის, მიატლის, ხუდონის და სხვა მრავალი ჰიდროკვანძის კაშხლების და რიგი ტიპური აესისა და თესის სეისმომედეგობის თეორიული და ექსპერიმენტული გამოკვლევები. მისი კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია მთელ რიგ საზღვარგარეთის ქვეყნებში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 6 საკანდიდატო დისერტაცია.

წავიდა ჩვენგან დიდი მეცნიერული პოტენციალისა და მაღალი პიროვნული თვისებებით დაჯილდოებული ადამიანი.

მსუბუქი იყოს შენთვის, ბატონო პეტრე, ქართული მიწა.

*საქართველოს ყოფილი ენერგეტიკისა და ენერგეტიკულ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი*

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# აიამ რეგულარული მოიგო

### აკადემია — არმია 6:3

**აკადემია:** ი. დავითაშვილი, ჭუაძე, წასიძე, მოლოდინაშვილი, გოგოლაშვილი, ქოპილაშვილი, შ. დავითაშვილი (მარგიანი); ზაქაშვილი, მაღლაკელიძე (დიაკონიძე), ღამბაშიძე, გაჩეჩილაძე, ნებულიშვილი, ნიბლაძე, გოგოლაძე (ჩაჩუა), ჩხიკვაძე

**2 ჯარიმა:** შ. დავითაშვილი

**არმია:** ბ. კობახიძე, ნუცუბიძე (შკინინი), მჭედლიძე (გაბროშვილი), გაგოშვილი, ტუჩაშვილი, ნინიძე, ზაბახიძე; კაკოვინი (ქორიძე), მეკოკიშვილი, დონაძე (ერისთავი, ნავროზაშვილი), ჟღენტი (კ. კობახიძე), ცხადაძე, თხილაიშვილი, კალმახელიძე, ბუჯიაშვილი

**1 ჯარიმა:** ბ. კობახიძე

თბილისში გამართული მატჩებიდან ყველაზე საინტერესო „შევარდენზე“ შედგა. მართალია, „არმიამ“ ლიდერები მოისაკლისა, მაგრამ მის მიუხედავადაც ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდს „აკადემიასთან“ დამარცხების უფლება არ აქვს. ამით აკადემიელებს კი არ ვაკნინებთ, რომლებმაც ბოლომდე იბრძოლეს და მეტოქის დამარცხება შეძლეს, არამედ „არმიას“ უნდა ჰქონდეს მეტი ამბიცია.

მატჩი არმიელთა უპირატესობით დაიწყო. უკვე პირველივე წუთებში იგრძნობოდა არმიელთა ფიზიკური უპირატესობა — ისინი მეტოქეს ჯანში ჯაბნიდნენ. თუმცა, ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობის მიუხედავად, „არმიას“ მორაგბეებმა უამრავი შეცდომა დაუშვეს, ხან ბურთი უვარდებოდათ წინ, ხან შეტევის მიმართულებას არასწორედ ირჩევდნენ და ამ შეცდომების ფონზე „აკადემიამ“ ბოლომდე გაძლო, თავისი შანსი გამოიყენა და დამსახურებულადაც მოიგო.

ანგარიში მე-14 წუთზე „არმიამ“ გახსნა. რადგან არმიელები თამაშის გაშლას და ფლანგების გამოყენებას ვერ ახერხებდნენ ბახვა კობახიძემ 18 მეტრიდან ჯარიმა კარში დაარტყა — 3:0.

საპირისპიროდ, „აკადემია“ ბურთს რომ მოიპოვებდა, ძალიან ფრთხილად თამაშობდა, ცდილობდა, ის არ დაეკარგა და იერიში ქულის გარეშე არ დაესრულებინა. ზედ შესვენების წინ ჯარიმის შესრულების უფლება მათაც მოიპოვეს და შალვა დავითაშვილმა კარიდან მარცხნივ, დაახლოებით 25 მეტრიდან ზუსტად დაარტყა. დაიწყო მეორე ნახევარი და წასიძემ გადაცემა ჩაჭრა, მაგრამ სიჩქარე ვერ აკრიფა, მას არმიელები წამოეწივნენ და ზედ 22-ის ხაზთან დაიჭირეს. იერიში მაინც გაგრძელდა, „არმია“ დაჯარიმდა და დავითაშვილმა „აკადემია“ 6:3 დააწინაურა.

„არმიას“ თითქმის მთელი ტაიმი ჰქონდა იმისთვის, რომ სიტუაცია სათავისოდ შემოებრუნებინა. ამას შეეცადნენ კიდეც და ძალიან დიდი დრო მეტოქის 22-ში, ჩათვლის მოედნიდან 5 მეტრში გაატარეს, მაგრამ „აკადემიამ“ თავგანწირული დაცვით იერიშის მოგერიება მოახერხა.

თუმცა, 57-ე წუთზე, ნიბლაძეს ანგარიშის გაზრდის საშუალებაც ჰქონდა, მაგრამ მისი შორეული ჯარიმა ქვედა ძელს მოხვდა.

„არმიამ“ შეცვლებს მიმართა და მოედანზე დასვენებული ხალხი შემოუშვა, რის შემდეგ „აკადემია“ მეტოქის შეტევების შეჩერება ჯარიმების ხარჯზე მოახერხა, მაგრამ არმიელები კარში აღარ ურტყამდნენ და ჯიუტად ლელოს გატანა ისურვეს. „აკადემია“ კი ბოლომდე გაძლო და მესამე საფეხურზე აღზევდა.

### აია — ლოკომოტივი 14:6

ტურის ცენტრალური მატჩი მალთაყვაში გაიმართა. „აიამ“ ქვეყნის ჩემპიონ „ლოკომოტივს“ უმასპინძლა და 14:6 დაამარცხა. ქუთაისელებისთვის ამ მატჩს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა თბილისელებისთვის კი სასიცოცხლო მნიშვნელობისა იყო.

დაძაბული თამაშის პირველ ნახევარში „აიამ“ მეტოქეს ორი ჯარიმა გაუტანა და ტაიმი 6:0 მორჩა. მეორე ნახევარში „ლოკომოტივმა“ გაიბრძოლა და ეს ორი ჯარიმა კი გააბათილა, მაგრამ თავად ლელო და ჯარიმა გაუშვა და 6:14 დამარცხდა, რის შედეგადაც მეხუთე ადგილამდე დაქვეითდა.

ქუთაისელებმა „არმიას“ მარცხის შემდეგ რეგულარული პირველობის მოგება დაიბევეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ფლეი ოფის პირველ ეტაპზე „აია“ საკუთარი კედლების უპირატესობით ისარგებლებს — სულ მალე კი ქუთაისელებს საკუთარ ქალაქში მოედნის აშენება დაუსრულდებათ და მხურვალე მხარდაჭერაც გარანტირებული ექნება.

### ყოჩები — ლელო 19:28

ამ მოგებით „ლელო“ ოთხეულში დაბრუნდა, „ყოჩები“ კი პრაქტიკულად გასავარდნად არის განწირული. თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ „ლელომ“ უპირატესობა მოიპოვა და მეტოქის თავგანწირული თამაშის მიუხედავად, 28:19 იმარჯვა. ახლა „ყოჩები“ ბოლოსწინა ადგილს ხუთი ქულით ჩამორჩება და დარჩენილი სამი შეხვედრიდან ყველა უნდა მოიგოს, რუსთავის „ხარებმა“ კი ყველა მატჩი წააგოს და „ყოჩებს“ პირველი ლიგის მეორეადგილოსანთან ფლეი ოფის შეხვედრებში თავის გამოჩენის შანსი მიეცემა.

### ხარები — არმაზი 21:16

მართალია, რუსთაველებს ჯერ უმაღლესში ადგილი დაბევებული არ აქვთ, მაგრამ არც ოთხეულთან არიან შორს. „ხარებმა“ თავიანთი ამბიცია „არმაზთან“ მატჩში დაამტკიცეს, როდესაც მათ რუსთავში 21:16 მოუგეს. ახლა „ხარებს“ იმის იმედიც გაუჩნდათ, რომ გადათამაშებას თავი დააღწიონ და ეგ კი არა, საუკეთესო ოთხეულში მოხვედრის კარგი შანსიც აქვთ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.აია | 11 | 11 | 0 | 0 | 289:126 | 22 |
| 2.არმია | 11 | 7 | 1 | 3 | 242:168 | 15 |
| 3.აკადემია | 11 | 4 | 3 | 4 | 191:207 | 11 |
| 4.ლელო | 11 | 5 | 0 | 6 | 252:237 | 10 |
| 5.ლოკომოტივი | 11 | 5 | 0 | 6 | 194:194 | 10 |
| 6.არმაზი | 11 | 4 | 1 | 6 | 214:228 | 9 |
| 7.ხარები | 11 | 4 | 0 | 7 | 136:228 | 8 |
| 8.ყოჩები | 11 | 1 | 1 | 9 | 151:270 | 3 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ახმეტელის თეატრი იუბილარია

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ცოცხლობს და იცოცხლებს მომავალშიც. გადაწყვეტილი გვაქვს ეს იუბილე გაგრძელდეს 5 დღე. ამ პერიოდში იქნება ერთ-ერთი საინტერესო სცენოგრაფის, ჩვენი თეატრის მთავარი მხატვრის აივენგო ჭელიძის გამოფენა. მას მრავალი წელი აქვს გატარებული თეატრში. ახმეტელის თეატრის იუბილეს ფარგლებში გაიხსნება თეატრის მუზეუმი, ძალიან გვინდა, გლდანი-ნაძალადევის რაიონის მაყურებლებს სიურპრიზი გავუკეთოთ. ახლა მოლაპარაკებების პროცესი გვაქვს და ამიტომ მისი წინასწარ თქმა არ შემიძლია. საიუბილეო დასკვნითი საღამოს წინ გვინდა გვქონდეს პრემიერა — ვაჟა-ფშაველა. 2011 წელი ვაჟა-ფშაველას საიუბილეო წელია. ამ გენიოსის 150 წლის იუბილეს იუნესკოც აღნიშნავს, ამიტომა გამონაკლისები არც ჩვენ ვიქნებით. აქ არის ერთი საინტერესო მომენტი — 30 წლის წინ, როცა თეატრი გაიხსნა, ის უნდა გახსნილიყო ვაჟა-ფშაველას „მთანი მაღალნით“, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო თეატრი გაიხსნა „ოპტიმისტური ტრაგედიით“. მერე რეპერტუარში იყო „მთანი მაღალნი“. გვინდა, ეს ხაზიც გავატაროთ და 30 წლის შემდეგ, დასკვნითი საიუბილეო საღამოს წინ, მაყურებელს ვუჩვენოთ ვაჟა-ფშაველა, მაგრამ აბსოლუტურად სხვა ინტერპრეტაციით, ძალიან საინტერესოდ და ამით პარალელი გავავლოთ 30 წლის წინანდელ სპექტაკლთან. ვაჟა-ფშაველას რეჟისორი ოთარ ბაღათურიაა. პრემიერის მეორე დღეს კი დასკვნითი საიუბილეო საღამო ჩატარდება.

***— 30 წლის წინანდელი მსახიობები თუ არიან დაკავებული ახალ სპექტაკლში?***

— კი, როგორ არა. 30 წლის წინანდელი მსახიობები არიან, რომლებიც ითამაშებენ „ღია შუშუბანდშიც“, „მანდრაგორაშიც“ და „ვაჟა-ფშაველაშიც“. ისინი სცენაზე დღესაც დგანან და სპექტაკლებში მონაწილეობენ. სიმბოლურია, რომ ისინი ამდენწლიანი პაუზის შემდეგ ისევ ვაჟა-ფშაველას უბრუნდებიან.

***— ოქტომბერში რისი პრემიერა გაქვთ?***

— ოქტომბერში „მანდრაგორას“ პრემიერა გვაქვს, ეს არის ნიკოლო მაკიაველი, რომელიც კომედიაა. სპექტაკლის რეჟისორი მალხაზ ასლამაზიშვილია. წარმოდგენის პრემიერა 20 ოქტომბერს არის დაგეგმილი.

***— საიუბილეო თეატრალურ სეზონზე კიდევ რას დადგამთ?***

— ნოემბერ-დეკემბერში გეგმაში გვაქვს ორი პრემიერის გაკეთება და ჩვენება. ერთი გვინდა, საბავშვო სპექტაკლი იყოს, მეორე კი ჩვეულებრივი, კარგი სპექტაკლი უფროსი მაყურებლისთვის.

***— მთაწმინდაზე გაიხსნა რეპრესირებულთა სიმბოლური საფლავი. მათ შორის არის სანდრო ახმეტელიც...***

— ეს მოვლენა ჩვენი თეატრისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, ჩვენი თეატრის არც ერთ წარმომადგენელს არ მიუღია მონაწილეობა რეპრესირებულთა მემორიალის გახსნაში.

***— რატომ?***

— არ ვიცი, რატომღაც არ ჩათვალეს საჭიროდ ჩვენი საქმის კურსში ჩაყენება. ჩვენ ძალიან გვინდა, იუბილემდე მოვასწროთ და გავაკეთოთ თეატრის კედელზე მემორიალური დაფა ლერი პაქსაშვილისა, რომელმაც ეს თეატრი დააარსა, გახსნა და წლების განმავლობაში მისი ხელმძღვანელი იყო. აი, ასეთი ჩანაფიქრები გვაქვს საიუბილეოდ, მართალია, რთული, მაგრამ ჩვენ მზად ვართ იმისთვის, რომ ეს ყველაფერი ღირსეულ დონეზე ავიყვანოთ. ძალიან ცოტა დრო დარჩა, დღე და ღამე უნდა გავასწოროთ, რომ ღირსეულად წარმოვაჩინოთ ახმეტელის სახელობის თეატრი.

# TV პროგრამა

**ოთხშაბათი 26 სექტემბერი**

**07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **13.30** მხ. ფ. **"მკვლელობა 101" 15.00** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 17.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **17.30** სილამაზის ფორმულა **18.00** მედ-ინფო **19.05** დოკ. ფილმი "ჰარლეი დევიდსონი" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"არავითარი საიდუმლო ჩვენს შორის" 22.00** აუდიტორია **23.00** საფეხბურთო მიმოხილვა **00.00** ღამის საუბრები **01.00** მხ. ფილმი **"ლარა კროფტი: სამარხების მძარცველი"** (ა. ჯოლი) **02.50** მოამბე **03.10** ცხოვრება მშვენიერია **04.10** საფეხბურთო მიმოხილვა

**08.00** დოკ. ფილმი **09.00** მხ. ფილმი **"სხვა ქალი" 10.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **11.30** დოკ. ფილმი **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.30** ისტორია **14.30, 17.45, 23.30** ბრიფინგის დროით **16.00** დოკ. ფილმი **17.00** მეხსიერება **19.00, 01.00** სერ. **"ზიანი"** (12) **20.00** მხ. ფილმი **"ბროდვეი დენი როუზი" 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **02.00** მხ. ფილმი **"ოცნების გოგონები"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი" 11.00** სერ. **"კლონი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** იღბლიანი ბორბალი (გან.) **17.00** სერ. **"ავრორა" 18.45** სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი" 19.45** სერ. **"სახლი მეზობლად" 22.00** ჯეოსტარი **23.30** მხ. ფილმი **00.00** შუა დღე **01.00** პატრული **01.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **11.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა" 12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** სერ. **"ყავა და ლუდი"** 1-ლი ს. **16.00** სერ. **"მეტოქეები" 17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა" 18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის" 21.00** სერ. **"დამალული სიმართლე" 22.00** სერ. **"შუა ქალაქში" 23.00** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან" 23.50** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი **01.15** მხ. ფილმი **"დაბრუნება ბრაიდსჰედში"** (12) (მ. გუდი) (სუბტ.) **03.50** მხ. ფილმი **"საიდუმლო სია"** (15) (ჰ. ჯეკმანი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"მარინა"** 1-ლი ს.

**08.00** მხ. ფილმი **10.00** სერ. **"ჩემი შეყვარებული" 11.00** ანიმაცია "არგაი" **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"დაკარგული ქვეყანა 2" 13.00** მხ. ფილმი **15.30** პულსი **16.00** გადაცემა "გუნდი" **17.10** სერ. **"ტყუპები" 18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ელიზა 2" 21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე" 22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.40** სერ. **"სოფია, ცოტა მადროვე" 10.30** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. **"მონტალბანო" 12.50, 19.35** სერ. **"დაშნების დედოფალი" 15.15** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი" 16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **23.00** სახლი ბათუმში **00.30** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** განთიადი **10.05** პატრიარქის ქადაგება **10.35** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.10** მხ. ფილმი **"ფესვები" 12.30** კონცერტი — ე. სავიცკი **15.25** სპექტაკლი **"შთამომავლობა" 16.55** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.25** საუბრები შ. ნადირაშვილთან **18.15 100** ქართული ხალხური სიმღერა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.15** მხ. ფილმი **"ერთი ცის ქვეშ" 21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** საღვთისმეტყველო საუბრები **22.20** დოკ. ფილმი "ალავერდი" **22.40** ერთსულოვანი ოჯახი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "წმინდა დიდმოწამე დედოფალი ქეთევანი" **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** პერსპექტივა

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზონის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**26 სექტემბერი**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,641

ევრო — 2,3815

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208

რუსული რუბლი — 0,057

**ამინდის პროგნოზი 26 სექტემბრისთვის**

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 29-22, ღამით — §-19

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18-23, ღამით — 19-12

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 17-18, ღამით — 2-19




# 26 სექტემბრიდან

„ახალ თაობასთან“ ერთად გაიყიდება პროექტის

## „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“

მე-12 ტომი

# კოკო შანელი

**უკვე გამოცემულია „100 წიგნის“ 11 ტომი. ესენია:**
**1.განდი, 2.ფრანკო, 3.ჩერჩილი — პირველი ნაწილი, 4.ჩერჩილი — მეორე ნაწილი, 5.სერვანტესი, 6.მარკესი, 7.რიშელიე, 8.ნაპოლეონი, 9.ვაჟა-ფშაველა, 10. კეისრები, 11.ათათურქი.**

**გამოსაცემად მზადაა:**
**ჩარლი ჩაპლინი, მარკო პოლო, ბიტლზი, რეიგანი.**

„100 წიგნში" შედის იმ ადამიანთა ბიოგრაფიები, რომელთაც დიდი კვალი დატოვეს მსოფლიო პოლიტიკაში, მეცნიერებასა და კულტურაში.

**გაზეთი და წიგნი ერთად 8 ლარი**




## კალენდრით ყველა კმაყოფილია

**როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ნაკრები ფეხბურთში 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს ესპანეთის, საფრანგეთის, ბელარუსისა და ფინეთის ეროვნულ გუნდებთან ერთად ითამაშებს.**



პარიზში გაიმართა ამ გუნდების მთავარი მწვრთნელების შეკრება, სადაც დამტკიცდა კალენდარი.

**2012 წელი**

**7 სექტემბერი:** საქართველო-ბელარუსი; ფინეთი-საფრანგეთი;
**11 სექტემბერი:** საქართველო-ესპანეთი; საფრანგეთი-ბელარუსი;
**12 ოქტომბერი:** ფინეთი-საქართველო; ბელარუსი-ესპანეთი;
**16 ოქტომბერი:** ბელარუსი-საქართველო; ესპანეთი-საფრანგეთი;

**2013 წელი**

**22 მარტი:** საფრანგეთი-საქართველო; ესპანეთი-ფინეთი;
**26 მარტი:** საფრანგეთი-ესპანეთი;
**7 ივნისი:** ფინეთი-ბელარუსი;
**6 სექტემბერი:** საქართველო-საფრანგეთი; ფინეთი-ესპანეთი;
**10 სექტემბერი:** საქართველო-ფინეთი; ბელარუსი-საფრანგეთი;
**11 ოქტომბერი:** ესპანეთი-ბელარუსი;
**15 ოქტომბერი:** ესპანეთი-საქართველო; საფრანგეთი-ფინეთი;

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი თემურ ქეცბაია კმაყოფილია 2014 წელს ბრაზილიაში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ჯგუფის კალენდრით. უკმაყოფილო არც სხვა გუნდების მწვრთნელები არიან.

**გაგრძელება მე-9 გვერდზე**

## ასტროპროგნოზი 26 სექტემბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — მოსალოდნელია წინსვლა და სხვა სასიამოვნო ამბები. **კურო** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ლომი** — სიყვარულში გიმართლებთ, ოღონდ მართლა! **ქალწული** — საღამოს ახალ კარგ ამბავს გაიგებთ. **სასწორი** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **მორიელი** — ახალი სამსახური მოგეწონებათ, ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით. **მშვილდოსანი** — იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, იფიქრეთ ამაზე. **თხის რქა** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით, ვიღაც კრიჭაში გიდგათ. **მერწყული** — თქვენი ოპონენტები გაქტიურდებიან, შესაფერისი იარაღი მოიშველიეთ. **თევზები** — არ გადაიღალოთ, ყველაფერს დღეს ნუ გააკეთებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**თარაზულად:** 5. თვითმფრინავიდან გადმოსახტომი საშუალება; 6. ყველაზე დიდი ფრინველი, არ ფრენს; 9. მხარე საქართველოში; 10. მსახური აღმოსავლეთის ზოგიერთ ხალხში; 11. ბოსტნეული მცენარე; 13. ლუწის საპირისპირო; 15. წელიწადის დრო; 18. ბანქო; 21. ტკივილის გამაყუჩებელი საშუალება; 22. ქალაქის გარემოცვა მტრის ჯარების მიერ; 23. სესილია თაყაიშვილის კინოროლი.

**შვეულად:** 1. კოსმეტიკის სახეობა; 2. იაპონელთა ნაციონალური სამოსი; 3. წინსვლა, აღმავლობა; 4. დიდი ზომის მაიმუნი; 7. პედაგოგიკის ნაწილი; 8. ქიმიური ელემენტი; 12. წარმოების მმართველი; 14. გამხმარი ხორცი; 16. სახელმწიფო აფრიკაში; 17. უმცროსი მეთაური საზღვაო ფლოტში; 19. სასწორის თეფში; 20. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-სა და კანადაში.

**შეადგინა ოლივერ კოხიამ**




## იუმორი



ქმარი შინ დაბრუნდა, ხედავს ცოლი ტირის.
— რა დაგემართა?
— ძაღლმა შენი სადილი შემიჭამა.
— ნუ ტირი, ახალ ძაღლს გიყიდი...

***

— ოპტიმისტი იგივე პესიმისტია, ოღონდ ერთი ჭიქა არყის შემდეგ...

***

პროგნოზი
— მაღალი ტემპერატურაა მოსალოდნელი, ან დაბალი... გააჩნია, თერმომეტრს სად დადებთ...

***

— მამა, ვადაგასული იოგურტი რატომ მწვანდება?
— იმიტომ, რომ მანამდე მეგობრულად განწყობილი ბაქტერიები სამხედრო ფორმას იცვამენ და ბიოლოგიური იარაღის გამოყენებას იწყებენ...

***

— მახსოვს, როგორ მიმიყვანა დედამ პირველ კლასში, გამოსაშვები საღამოდან კი მამამ გამომიტანა...

***

— წარმოიდგინე ასეთი სიტუაცია, ქმარი მივლინებიდან ბრუნდება, მაგრამ სახლის ნაცვლად საყვარელთან მიდის. კარს აღებს და საყვარელსა და ცოლს ერთად ხედავს საწოლში.
— მერე?
— მაინტერესებს, ვინ უნდა დაიმალოს კარადაში?

გ. თ.

## რამდენად დაკვირვებული ხართ

**ტესტი**



***1. მიგაჩნიათ, რომ მიმიკა და ჟესტები არის:***
ა. სულიერი მდგომარეობის სპონტანური გამოვლინება. ბ. საუბრის დამატება. გ. ქვეცნობიერის გამოვლინება.

***2. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ქალებში მიმიკა უფრო გამომსახველია, ვიდრე მამაკაცებში?***
ა. დიახ. ბ. არა. გ. არ ვიცი.

***3. როგორ ესალმებით მეგობრებს:***
ა. გამარჯობას ეუბნებით. ბ. ხელს ართმევთ. გ. ეხვევით.

***4. შეიძლება თუ არა მიმიკის გაკონტროლება?***
ა. დიახ. ბ. არა. გ. მხოლოდ მისი ცალკეული ელემენტებისა.

***5. მიგაჩნიათ თუ არა, რომ თქვენი ჟესტების უმეტესობა:***
ა. ვიღაცისგან არის გადაღებული. ბ. თაობიდან თაობას გადაეცემა. გ. ბუნების მიერ არის განსაზღვრული.

***6. თქვენი აზრით, წვერი არის:***
ა. ვაჟკაცობის ნიშანი. ბ. სახის ნაკვთების დამალვის საშუალება. გ. სიზარმაცის ნიშანი.

***7. ზოგი ამტკიცებს, რომ სახის მარჯვენა და მარცხენა ნაწილები ერთმანეთისაგან განსხვავდება. იზიარებთ?***
ა. დიახ. ბ. არა. გ. მხოლოდ ხანდაზმულებში.

***8. თუ შეიძლება გარეგნობის მიხედვით ტიპური დამნაშავის ამოცნობა?***
ა. დიახ. ბ. არა, გ. არ ვიცი.

***9. მამაკაცი ქალს ესაუბრება. ამას იმიტომ აკეთებს, რომ:***
ა. პირველი ნაბიჯი მამაკაცმა უნდა გადადგას. ბ. ქალი ქვეცნობიერად ანიშნებს, რომ სურს გამოელაპარაკონ. გ. არ ეშინია უარის მიღებისა.

**პასუხები შეაფასეთ ა. 1 — ქულა ბ. 2 — ქულა გ. 3 — ქულა**

### პასუხები

**9-15 ქულა:** შესანიშნავი ინტუიცია გაქვთ, ადამიანებისა შესანიშნავად გესმით, სიტყვებზე უფრო მეტად თქვენს ალღოს და დაკვირვებულობას ენდობით. ხანდახან თქვენი დასკვნები ნაჩქარევია და შეიძლება შეცდომა დაუშვათ.

**16-21 ქულა:** გარკვეულ სიამოვნებას განიჭებთ სხვა ადამიანებზე დაკვირვება. კარგად ერკვევით მიმიკასა და ჟესტებში, მაგრამ ჯერ კარგად არ იცით მიღებული ინფორმაციის რეალურ ცხოვრებაში გამოყენება.

**22-27 ქულა:** ჟესტებისა და მიმიკის ენა თქვენთვის გაუგებარია. გიჭირთ ადამიანების სწორად შეფასება, არა იმიტომ, რომ ეს არ შეგიძლიათ, უბრალოდ, სათანადო ყურადღებას არ უთმობთ მათ.

გ. თ.

ლურჯი წითელი ყვითელი შავი